Т. Качарава, доктор сельскохозяйственных наук, профессор факультета аграрных наук и инженеринга биосистем ГТУ

E-mail: t.kacharava@gtu.ge

Аннотация. Были изучены способности европейских высокоудойных пород (Зааненский и Альпийский) адаптироваться к разным условиям окружающей среды Грузии, а также способности к поддержанию их продуктивности и некоторых параметров здоровья, предусмотренных стандартами. Помимо этого, были изучены физиолого-биологические данные коз обеих пород для определения состояния здоровья завезенных особей в различных климатических зонах. Эксперименты проводилась на двух фермах (недалеко от Рустави и в предгорьях муниципалитета Мцхета). Эксперимент проводился на 100 козах разного возраста. Из физиологических и биологических свойств мы изучали температуру тела, частоту дыхания и пульса, а также общий анализ крови. Сравнение полученных нами данных со стандартными показателями позволило сделать вывод, что данные исследуемой популяции, и стандартные данные максимально близки друг к другу. Это доказывает, что козы хорошо адаптировались и местные условия для них вполне удовлетворительны. Высокий генетический потенциал коз Зааненской и Альпийской пород и полученные нами результаты позволяют давать фермерам разумные советы-рекомендации по разведению этих пород в различных климатических зонах Грузии, что создаст перспективы для долгосрочного и устойчивого развития отрасли в стране.

Ключевые слова: Альпийская коза; Зааненская коза; приспособление.

განხილვის თარიღი 23.12.2020

შემოსვლის თარიღი 30.12.2020

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.07.2021

UDC 542.61

SCOPUS CODE 1106

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-49-56>

კვრინჩხის (*Prunus spinosa*) ნაყოფიდან და ფოთლებიდან ექსტრაქციის პირობების გავლენა ფენოლოური ნაერთების გამოსავლიანობაზე

- ნინო გამყრელიძე** სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0192, თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი 17
E-mail: nino.gamkrelidze@gtu.ge
- გიორგი ქვარცხავა** სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0192, თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი 17
E-mail: g.kvartskhava@gtu.ge

რეცენზენტები:

გ. ტყემალაძე, სტუ-ის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: guram.tkemaladze@yahoo.com

მ. ბერეჟიანი, სტუ-ის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: malber@dr.com

ანოტაცია. სურსათის წარმოებაში გამოყენებული მცენარეული ექსტრაქტები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სურსათის ხარისხს. მცენარეული ექსტრაქტების საბოლოო გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობა ამ ექსტრაქტების ქიმიური შედგენილობაა. ექსტრაქტების ქიმიურ შედგენილობას კი განსაზღვრავს ექსტრაქციის მეთოდი და პირობები – ტემპერატურა, ხანგრძლივობა, ექსტრაგენტი. ექსპერიმენტული მონაცემებიდან გამომდინარე, შეირჩა კვრინჩხის (*Prunus spinosa*) ნაყოფიდან და ფოთლებიდან ფენოლოური ნაერთების ექსტრაქციის ოპტიმალური პირობები. ექსპერიმენტისას გამოყენებული ექსტრაქციის

მეთოდებიდან ფენოლოური ნაერთების ყველაზე მაღალი შემცველობა აქვს ულტრაბგერითი ექსტრაქციით მიღებულ ექსტრაქტებს. წყლისა და ეთილის სპირტის სხვადასხვა მოცულობითი თანაფარდობიდან კარგი შედეგი აჩვენა 0,25 წილი წყლისა და 0,75 წილი ეთილის სპირტის ნარევი. ექსტრაქციის ოპტიმალური დრო 90 წუთი იყო, ხოლო ოპტიმალური ტემპერატურა – 40 – 42°C. ამ მეთოდით მიღებულ ექსტრაქტებში ფენოლოური ნაერთების საერთო მნიშვნელობამ კვრინჩხის ნაყოფისათვის $35,62 \pm 0,17$ მგ·გ⁻¹ (მშრალი მასა) შეადგინა, ხოლო ფოთლებისათვის – $44,76 \pm 0,08$ მგ·გ⁻¹ (მშრალი მასა).

საკვანძო სიტყვები: ექსტრაქცია, კვრინჩხი (Prunus spinosa), ფენოლოური ნაერთები.

შესავალი

სურსათის წარმოებისა და გადამუშავების სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენება საკვებდანამატები, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და კონსერვაციის მიზნით. საკვებდანამატების შერჩევა ხდება ორგანოლექტიკური და ენერგეტიკული მახასიათებლების გასაუმჯობესებლად, ვარგისობის ვადის გასაზრდელად, მჟავიანობის დასარეგულირებლად და სხვა. საკვებდანამატების დიდი ნაწილი სინთეზური გზითაა მიღებული და მათი უმრავლესობის მოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე ბოლომდე არ არის შესწავლილი. ქიმიური წარმოშობის საკვებდანამატების ჩანაცვლება ნატურალური, მცენარეული ანტიოქსიდანტებითა და კონსერვანტებით მნიშვნელოვნად ზრდის სურსათის ხარისხს. მცენარეული სურსათისათვის დამახასიათებელია მაღალი ბიოშედქვეცდობა, მასში შემავალი ვიტამინები, მიკროელემენტები აუმჯობესებს სურსათის კვებით ღირებულებას.

ძირითადი ნაწილი

მცენარეები რვა ათასზე მეტი ფენოლოური ნაერთის ბუნებრივი წყაროა [1]. მცენარეთა შედგენილობაში არსებული ფენოლოური ნაერთების რაოდენობა პირდაპირ უკავშირდება მცენარეული წარმოშობის სურსათის მაღალანტიოქსიდანტურ აქტივობას, რაც, თავის მხრივ, დადებითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. სამეცნიერო კვლევები ადასტურებს ხილში შემავალი ფენოლოური ნაერთების ანტიოქსიდანტურ, ანტიმიკრობულ და ანთების საწინა-

აღმდეგო მოქმედებას [2]. ფენოლოური ნაერთების შემცველი ექსტრაქტები ფართოდ გამოიყენება მედიცინაში სამკურნალო [3] და პროფილაქტიკური [4] მიზნებისათვის.

ვიტამინების, მიკროელემენტების, ანტიოქსიდანტების შემცველობის მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ველურად მოზარდი მცენარეები. ტყის მცენარეები გამოირჩევა განსაკუთრებული მდგრადობით სხვადასხვა დაავადებისა და მავნებლების წინააღმდეგ, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ვეგეტაციური ორგანოებისა და ნაყოფის ქიმიურ შედგენილობასთან. ტყის მცენარეების კვლევა საშუალებას მოგვცემს მივიღოთ მაღალი ხარისხისა და ვიტამინებით მდიდარი ნატურალური საკვებდანამატები.

ამ მოსაზრებების გათვალისწინებით, შესასწავლად შეირჩა ვარდისებრთა ოჯახის მრავალწლიანი ველური მცენარე კვრინჩხი (*Prunus spinosa*). ის 5 მეტრამდე სიმაღლის ეკლიანი ბუჩქია. კლიმატური პირობებისა და სხვადასხვა ტიპის ნიადაგის მიმართ საკმაოდ მდგრადი მცენარეა [5]. ყვავილობს გვიან გაზაფხულზე, ნაყოფი სიმწიფეს აღწევს შემოდგომაზე. მწიფე ნაყოფი 5 – 7 მმ დიამეტრისაა [6] და აქვს მომწარო-მწკლარტე გემო, მწვანე რბილობი გარედან დაფარულია მოლურჯო-შავი კანით.

ხალხურ მედიცინაში კვრინჩხი გამოიყენება მრავალი დაავადების სამკურნალოდ. კვრინჩხის ქერქის, ნაყოფისა და ყვავილის ნაყენს იყენებენ რესპირატორული, კუჭ-ნაწლავის დაავადებების სამკურნალოდ [7]. ფიტოთერაპიაში კვრინჩხის ნაყოფისაგან ამზადებენ დიურეტიკულ და დეტოქსიკაციურ საშუალებებს [5].

მცენარეული ექსტრაქტების ბიოლოგიურ და ორგანოლექტიკურ მახასიათებლებზე გავლენს ახდებს ექსტრაქციის პირობები [8]. კვლევის მიზანია კვრინჩ-

ხის ფოთლებიდან და ნაყოფიდან ბიოლოგურად აქტიური ნივთიერებების გამოყოფა მყარ-თხევადი ექსტრაქციის გზით. ექსტრაქციის ეფექტურობის ასამაღლებლად საჭიროა შეირჩეს მეთოდი და დადგინდეს ოპტიმალური პირობები – ტემპერატურა და ექსტრაქციის ხანგრძლივობა, აგრეთვე თხევადი ფაზა – ექსტრაგენტი.


საკვლევი ნიმუშები შეგროვდა მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტში, დუშეთის რაიონის სოფელ ლაფანანთკარში, ეკოლოგიურად სუფთა ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე. ადგილმდებარეობის მკაცრი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, კვრინჩხის ნაყოფი შეგროვდა 2020 წლის ოქტომბრის ბოლოს, ამავე პერიოდში შეგროვდა ფოთლებიც.

ექსპერიმენტისათვის კვრინჩხის ნაყოფი და ფოთლები დაქუცმაცდა ლაბორატორიულ ბლენდერში. თითოეული ნიმუშის 4 გ-ს (აწონილი 0.0001გ სიზუს-

ტით ანალიზურ სასწორზე) დაემატა 40 მლ გამხსნელი ან გამხსნელთა პიურე.

ფენოლური ნაერთების რაოდენობრივი ანალიზი ფოლინ-ჩოკალტეს მეთოდით ჩატარდა [9] სპექტროფოტომეტრზე. შესადარებელ სტანდარტად გამოვიყენეთ გალის მჟავა. ექსტრაქტების ოპტიკური სიმკვრივე განისაზღვრა 760 ნმ ტალღის სიგრძეზე.

კვრინჩხის (*Prunus spinosa*) ნაყოფიდან და ფოთლებიდან ფენოლური ნაერთების მაღალი გამოსავლიანობის მისაღწევად ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ექსტრაქციის მეთოდის შერჩევა. ექსტრაქცია ჩავატარეთ სამი განსხვავებული მეთოდით – მაცერაციით, ულტრაბგერით და ინფრაწითელი სხივებით. სამივე შემთხვევაში ექსტრაგენტად გამოვიყენეთ, სამეცნიერო კვლევებში ხშირად გამოყენებული, წყლისა და ეთილის სპირტის ნარევი 1:1 მოცულობითი თანაფარდობით. ექსტრაქციის ტემპერატურა იყო 40 °C, ხანგრძლივობა – 120 წუთი. 1-ელ სურ-ზე წარმოდგენილია მიღებული მონაცემები.



სურ. 1. ექსტრაქციის მეთოდის გავლენა ფენოლური ნაერთების გამოსავლიანობაზე

ექსტრაგენტის ან ექსტრაგენტთა ნარევის შერჩევაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ექსტრაქციის ეფექტურობა. შეირჩა ორი ნივთიერება – ეთილის სპირტი (ეთანოლის 96% მოც. წყალხსნარი) და წყალი. მომზადდა შერჩეული გამხსნელების სხვადასხვა მოცულობითი თანაფარდობის ხუთი ტიპის ნარევი: წყა-


ლი: ეთილის სპირტი – 1 : 0; წყალი : ეთილის სპირტი – 0,75 : 0,25; წყალი : ეთილის სპირტი – 0,5 : 0,5; წყალი: ეთილის სპირტი – 0,25 : 0,75; წყალი : ეთილის სპირტი – 0 : 1. ექსტრაქციის ტემპერატურა – 40 °C, ხანგრძლივობა – 120 წუთი. ექსტრაქტებში მიღებული საერთო ფენოლების რაოდენობა მოცემულია ცხრილში.

ექსტრაგენტის გავლენა ფენოლური ნაერთების გამოსავლიანობაზე

გამხსნელთა ნარევი (მოცულობა – წყალი: მოცულობა 96% სპირტხსნარზე)	საერთო ფენოლები მგ/გ	
	ნაყოფი	ფოთლები
H ₂ O : C ₂ H ₅ OH 1 : 0	13,15 ± 0,18	18,31 ± 0,21
H ₂ O : C ₂ H ₅ OH 0,75 : 0,25	15,34 ± 0,22	20,23 ± 0,13
H ₂ O : C ₂ H ₅ OH 0,50 : 0,50	31,79 ± 0,24	38,54 ± 0,09
H ₂ O : C ₂ H ₅ OH 0,25 : 0,75	36,26±0,07	45,19±0,02
H ₂ O : C ₂ H ₅ OH 0 : 1	16,37 ± 0,03	22,63 ± 0,14

ექსტრაქციის ოპტიმალური ტემპერატურის დასადგენად ჩატარდა სამი ექსპერიმენტი: 20 – 22°C-ზე, 40 – 42°C-ზე და 60 – 62°C-ზე. ექსტრაგენტი წყალი:


ეთილის სპირტი – 0,25 : 0,75; ხანგრძლივობა – 120 წუთი. შედეგები წარმოდგენილია მე-2 სურ-ზე.



სურ. 2. ტემპერატურის გავლენა ფენოლური ნაერთების გამოსავლიანობაზე

ექსტრაპირებული ნივთიერებების რაოდენობაზე გავლენას ახდენს ექსტრაქციის ხანგრძლივობა. ექსტრაქციის ოპტიმალური დროის დასადგენად პროცესი წარიმართა 30 წუთის, 60 წუთის, 90 წუთის და 120

წუთის განმავლობაში, დადგენილი მეთოდით, ოპტიმალურ ტემპერატურაზე და შერჩეული ექსტრაგენტით (სურ. 3).



სურ. 3. ექსტრაქციის ხანგრძლივობის გავლენა ფენოლური ნაერთების გამოსავლიანობაზე

(ულტრაბგერითი ექსტრაქცია; გამხსნელთა ნარევი წყალი : ეთილის სპირტი – 0,25 : 0,75; ტემპერატურა – 40 – 42 °C)

დასკვნა

ექსპერიმენტული სამუშაოების შედეგების ანალიზის მიხედვით, კვრინჩხის (*Prunus spinosa*) ნაყოფიდან და ფოთლებიდან ფენოლური ნაერთების მაღალი გამოსავლიანობით ხასიათდება ულტრაბგერითი ექსტრაქციით მიღებული საკვლევი ნიმუშები. აღნიშნული მეთოდით განსაკუთრებით კარგი შედეგები, ორივე სახის ნედლეულისათვის, დაფიქსირდა 40 – 42°C ტემპერატურაზე ორსაათიანი ექსტრაქციისას, გამხსნელთა ნარევით წყალი : ეთილის სპირტი – 0,25 : 0,75 – 36,26 მგ/გ (მშრალი ნაყოფი) და 45,19 მგ/გ (მშრალი ფოთლები). ამ მონაცემებს უმნიშვნელოდ,

მაგრამ მაინც ჩამორჩება 90-წუთიანი ექსტრაქციის შედეგი, რომელიც 1 გ მშრალ ნედლეულზე გადაანგარიშებით 35,62 ± 0,17 მგ-სა და 44,76 ± 0,08 მგ-ს შეადგენს, შესაბამისად, ნაყოფისა და ფოთლებისათვის. აქედან გამომდინარე, დროისა და ენერგობარჯის გათვალისწინებით, კვრინჩხის (*Prunus spinosa*) ნაყოფიდან და ფოთლებიდან ფენოლური ნაერთების მაღალი გამოსავლიანობისათვის მისაღებია ულტრაბგერითი ექსტრაქცია 90 წუთის განმავლობაში 40 – 42°C ტემპერატურაზე, გამხსნელთა ნარევის წყალი: ეთილის სპირტი – 0,25 : 0,75 გამოყენებით.

ლიტერატურა

1. Crozier A., Jaganath Indu B., Clifford Michael N.– Dietary phenolics: chemistry, bioavailability and effects on health. *NPR*, vol.26, #8, p. 965 – 1096, 2009.
2. Chang S.K., Alasalvar C., Shahidi F. Superfruits: Phytochemicals, antioxidant efficacies, and health effects. A comprehensive review. *Critical Reviews in Food Science and Nutrition*, 59(10), pp. 1580 – 1604. 2019.
3. Tungmunnithum D., Thongboonyou A., Pholboon A., Yangsabai A. Flavonoids and other phenolic compounds from medicinal plants for pharmaceutical and medical aspects: An overview. *Medicines*. Vol.5, 93, 2018.
4. Li An-Na., Li Sha., Zhang Yu-Jie, Xu Xiang-Rong, Chen Yu-Ming, Li Hua-bin. Resources and biological activities of natural polyphenols. *Nutrients*, vol.6(12), p. 6020 – 6047, 2014.
5. Aparajita M., Juan Pedro M., Itziar A. Population genetic analysis of European *Prunus spinosa* (Rosaceae) using chloroplast DNA markers, *American Journal of Botany*, vol. 89, pp. 1223-1228, 2002.
6. Fraternali D., Giamperi L., Bucchini A., Piero S., Paolillo M., Ricci D. *Prunus spinosa* Fresh Fruit Juice: Antioxidant Activity in Cell-free and Cellular Systems. *NPC*, vol. 4, № 12, pp. 1665 – 1670, 2009.
7. Khidasheli Sh., Papunidze V. *Medical plants forest Georgian*. Publishing house "Soviet Adjara", Batumi, 1985 (in Georgian).
8. Terletskaia V., Rubanka E., Zinchenko I. Influence of technological factors on the process of black chokeberry extraction. *Technique and technology of food production*. №4, pp.127 – 131, 2013 (in Russian).
9. Singleton V.L., Rossi J.A. Colorimetry of total phenolics with phosphormolybdic-phosphotungstic acid reagents. *Am.J.Enol.Viticul.* 16, pp. 144 – 158. 1965.

UDC 542.61

SCOPUS CODE 1106

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-49-56>

The Influence of the Extraction Conditions of Blackthorn (*Prunus spinosa*) Fruits and Leaves on the Yield of Phenolic Compounds

Nino Gamkrelidze Department of Food Technology, Georgian Technical University, Georgia, 0192, Tbilisi, 17 D. Guramishvili Str.

E-mail: nino.gamkrelidze@gtu.ge

Giorgi Kvartskava Department of Food Technology, Georgian Technical University, 17 D. Guramishvili Str., 0192, Tbilisi, Georgia

E-mail: g.kvartskhava@gtu.ge

Reviewers:

G. Tkemaladze, Professor, Faculty of Agricultural Science and Biosystems Engineering, GTU

E-mail: guram.tkemaladze@yahoo.com

M. Berejiani, Professor, Faculty of Agricultural Science and Biosystems Engineering, GTU

E-mail: malber@dr.com

Abstract. Plant extracts used in food production significantly improve the quality of food. Chemical composition is the main prerequisites for the final use of plant extracts. The chemical composition of the extracts is affected by the extraction method and conditions - temperature, duration and solvent. On the basis of experimental data optimal conditions for the extraction of phenolic compounds from the fruits and leaves of blackthorn (*Prunus spinosa*) were selected. Among the extraction methods used in the experiment, the highest content of phenolic compounds in obtained extracts was observed during the ultrasonic extraction. A mixture of 0.25 parts of water and 0.75 parts of 96% ethanol showed best results from different volume ratios of water and ethanol. The optimal extraction time was 90 minutes. And the optimum temperature is 45°C. The total content of phenolic compounds in the extracts obtained by the abovementioned method amounted is 35.62±0.17 mg·g⁻¹(dry weight) for blackthorn fruits and 44,76 ± 0.08mg·g⁻¹(dry weight) for the leaves.

Key words: blackthorn (*Prunus spinosa*); extraction; phenolic compounds.

UDC 542.61

SCOPUS CODE 1106

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-49-56>

Влияние условий экстракции на выход фенольных соединений из плодов и листьев терновника (*Prunus spinosa*)

Нино Гамкრელიძე Департамент пищевой технологии, Грузинский технический университет, Грузия,
0192, Пр. Д. Гурамишвили 17

E-mail: nino.gamkrelidze@gtu.ge

Геორგი Кварцхავა Департамент пищевой технологии, Грузинский технический университет, Грузия,
0192, Пр. Д. Гурамишвили 17

E-mail: g.kvartskhava@gtu.ge

Рецензенты:

Г. Ткемаладзе, профессор факультета аграрных наук и инженеринга биосистем ГТУ

E-mail: guram.tkemaladze@yahoo.com

М. Бережани, профессор факультета аграрных наук и инженеринга биосистем ГТУ

E-mail: malber@dr.com

Аннотация. Растительные экстракты, используемые в пищевом производстве, значительно улучшают качество продуктов питания. Химический состав является основной предпосылкой для конечного использования растительных экстрактов. Химический состав экстрактов определяет способ и условия экстракции – температура, продолжительность и экстрагент. На основании экспериментальных данных были выбраны оптимальные условия извлечения фенольных соединений из плодов и листьев терновника (*Prunus spinosa*). Среди методов экстракции, использованных в эксперименте, наибольшее содержание фенольных соединений в полученных экстрактах наблюдалось при ультразвуковой экстракции. При различных объемных соотношениях воды и этанола наилучшие результаты показала смесь 0,25 части воды и 0,75 части 96 %-ого этанола. Оптимальное время экстракции составляло 90 минут. А оптимальная температура – 40 – 42 °С. Общее содержание фенольных соединений в экстрактах, полученных указанным способом для плодов терновника составило $35,62 \pm 0,17$ мг·г⁻¹ (на сухой вес) и $44,76 \pm 0,08$ мг·г⁻¹ (на сухой вес) для листьев.

Ключевые слова: терновник (*Prunus spinosa*); фенольные соединения; экстракция.

განხილვის თარიღი 08.02.2021

შემოსვლის თარიღი 15.02.2021

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.07.2021

UDC 339.15

SCOPUS CODE 1401

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-57-66>

დარიცხვის მეთოდის არსის გაგება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

ბიძინა გრიგალაშვილი ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: grigalashvilibidzina gmail.com

რეცენზენტები:

ნ. ფაილოძე, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

E-mail: n.failodze@gtu.ge

დ. ჯალაღონია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

E-mail: Dato.jalagonia@gmail.com

ანოტაცია. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შემოღება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს საბუღალტრო აღრიცხვის პრაქტიკაში. ფინანსური ანგარიშგების შედგენისას, ერთ-ერთ სიახლეს შეადგენდა „სააღრიცხვო პოლიტიკის“ და მისი ისეთი ელემენტის დამკვიდრება, როგორცაა „დარიცხვის მეთოდი“. აღნიშნული მეთოდი საბჭოთა ბუღალტრულ აღრიცხვაში არ გამოიყენებოდა. მისმა განმარტებამ, დეფინიციებმა საერთაშორისო სტანდარტების შემოღებიდან დღემდე გარკვეული სახეცვლილება განიცადა.

განალიზებულია განხორციელებული ცვლილებები, საერთაშორისო სტანდარტებსა და კონცეპ-

ტუალურ საფუძვლებში მოცემული დეფინიციები, სხვადასხვა ავტორის შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები. კვლევის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ „დარიცხვის მეთოდი“ გამოყენებული უნდა იქნეს საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება/ასახვის დროს და არა აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ. სხვადასხვა განმარტების შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია „დარიცხვის მეთოდის“ ავტორისეული განმარტება.

საკვანძო სიტყვები: ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები; დარიცხვის მე-

თოდი; სააღრიცხვო პოლიტიკა; ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები.

შესავალი

საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მთელი სააღრიცხვო ციკლის დამამთავრებელი ეტაპია. ფინანსური ანგარიშგების სანდოობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანი წარდგენა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რომელსაც საწარმო შეარჩევს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების შედგენისათვის. სააღრიცხვო პოლიტიკის დანიშნულებაა, ინფორმაციის მომხმარებელს მიაწოდოს სრულყოფილი და საიმედო ინფორმაცია საწარმოს ქონებრივ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე. მასში შეიძლება აისახოს ისეთი მნიშვნელოვანი მომენტები, როგორცაა: აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების მეთოდები და სხვა. ერთ-ერთ ასეთ მეთოდად მიჩნეულია „დარიცხვის მეთოდი“. „საბჭოთა ბუღალტრულ აღრიცხვაში ეს მეთოდი აღიარებული არ იყო, თუმცა მისი ელემენტები პრაქტიკაში გამოიყენებოდა, მაგალითად: დარიცხული ხელფასი, სოცდაზღვევის ანარიცხები და სხვა ანალოგიური ხარჯები, რომლებიც ხარჯებად აისახებოდა მოცემულ საანგარიშო პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ მათი გაცემა მომდევნო პერიოდში“¹ ხდებოდა. ამ მეთოდთან ერთად საერთაშორისო სტანდარტები აღიარებს

„ფუნქციონირებადი საწარმოს“ პრინციპს, რომლის მიხედვითაც იგულისხმება, რომ თუ საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს, ის არ აპირებს საქმიანობის შეწყვეტას.

საქართველოს მიერ საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების აღიარების შემდეგ „დარიცხვის მეთოდის“ გამოყენება სავალდებულო გახდა. მას უპირატესობა მიენიჭა საკასო მეთოდთან შედარებით. ამ უკანასკნელის გამოყენება აკრძალული არ არის, თუმცა, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მისი გამოყენება ნაწილობრივ იზღუდება.

„დარიცხვის მეთოდის“ განმარტებამ საერთაშორისო სტანდარტების შემოღებიდან დღემდე გარკვეული მეტამორფოზი განიცადა, ამიტომ უპირიანია მიმოვიხილოთ ცვლილებები და სხვადასხვა ავტორის შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ძირითადი ნაწილი

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება საქართველოში სავალდებულო 2000 წლიდან გახდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ „ბასს-ების ოფიციალურ დამტკიცებულ ტექსტად ითვლება ბასსკ-ის მიერ გამოცემული ტექსტი ინგლისურ ენაზე“².

ქართულ ენაზე სტანდარტების პირველ გამოცემაში (2000 წ. შემოღებულ იქნა 34 სტანდარტი და სტრუქტურული საფუძვლები) „დარიცხვის მეთოდი“ განმარტებულია „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურულ სა-

¹ ლ. გრიგალაშვილი. „ფინანსური აღრიცხვა“. თბილისი: გამომცემლობა „გეორგია“, 2014წ, გვ. 275.

² „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები“. თბილისი: ბაფ-ის გამომცემლობა, 2000 წ. გვ. 4.

ფუძვლებში“, სადაც ვკითხულობთ, „თავისი მიზნიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საფუძვლად უდევს დარიცხვის მეთოდი. ამ მეთოდის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგები აისახება მოხდენის მომენტში და არა ფულადი სახსრების და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს. ამასთან, ისინი გატარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში“.¹ როგორც ვხედავთ, ამ განმარტებაში ყურადღება გამახვილებულია სამეურნეო ოპერაციის შედეგზე, როგორცაა მაგალითად, საქონლის გაყიდვა, რომლის საფუძველზე საწარმო, ერთი მხრივ, აღიარებს მოთხოვნას და, მეორე მხრივ, უნდა აღიაროს ჯერ კიდევ მიუღებელი შემოსავალი. ანალოგიური მიდგომა გამოიყენება ხარჯების მიმართაც ანუ ხდება გადაუხდელი თანხების ხარჯებად აღიარება ბუღალტრული (ფინანსური) თვალსაზრისით.

ბუღალტრული აღრიცხვის მომდევნო საერთაშორისო სტანდარტები 2004 წელს გამოიცა, რომელშიც შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები: ბასს-მა შეიმუშავა ფინანსური ანგარიშგების ხუთი ახალი საერთაშორისო სტანდარტი; გადაისინჯა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, რომლის მიზანი მათი გაუმჯობესება და ხარისხის ამაღლება იყო; ახალი სტანდარტებისა და არსებულის გადასინჯვის საფუძველზე მოქმედ სტანდარტებში შევიდა შესაბამისი ცვლილებები; ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს ეწოდა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე მივიღეთ სტანდარტების სამი ჯგუფი:

- ფინანსური ანგარიშგების 5 საერთაშორისო სტანდარტი (ფასს);
- ბუღალტრული აღრიცხვის 32 საერთაშორისო სტანდარტი და
- 11 ინტერპრეტაცია.

ამ გამოცემის ერთ-ერთი მიზანი სტანდარტების გაუმჯობესებაც იყო, რომლის შესახებ აღნიშნულია, რომ „ბასს-ის გაუმჯობესების პროექტის შედეგად გადაისინჯა ბუღალტრული აღრიცხვის თხუთმეტი საერთაშორისო სტანდარტი. ამ პროექტის მიზანი გახლდათ ალტერნატივებს, გამეორებებსა და სტანდარტებს შორის წინააღმდეგობების შემცირება ან აღმოფხვრა, სტანდარტების შეჯერების საკითხის გადაწყვეტა და სხვა გაუმჯობესების გადაწყვეტა“.² აქვე დავძენთ, რომ ეს არის სერიოზული ხარვეზი, რომელსაც სტანდარტები არ უნდა შეიცავდეს.

მომდევნო სტანდარტული დოკუმენტი 2010 წელს გამოიცა, რომელშიც შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები: დაემატა ერთი ახალი სტანდარტი ფასს - 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“; გადაისინჯა ბასს - 4 – „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“; სხვადასხვა ფასს - ებში განხორციელდა ცვლილებები და გამოიცა ორი ახალი ინტერპრეტაცია: ფაისკ - 18 – „აქტივების გადაცემა მომხმარებლების მიერ“ და ფაისკ - 19 – „ფინანსური ვალდებულებების დაფარვა წილობრივი ინსტრუმენტებით“. რაც შეეხება „დარიცხვის მეთოდს“,

¹ „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. თბილისი: ბაფ-ის გამომცემლობა, 2000 წ. გვ. 30.

² ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. გამომცემლობა „თერგი XXI“, 2005 წ. გვ. X.

მის განმარტებაში, 2000 წლის გამოცემასთან შედარებით, 2004 წელს რაიმე სახის ცვლილება არ განხორციელებულა.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ 2010 წლის სექტემბერში გამოსცა „კონცეპტუალური საფუძვლები“, რომელმაც ჩანაცვლა მანამდე მოქმედი „სტრუქტურული საფუძვლები“. ამ უკანასკნელ დოკუმენტში ჩანს, რომ, საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებიდან „კონცეპტუალური საფუძვლების“ გამოცემამდე, საწარმოსათვის ყოველთვის სავალდებულო იყო ორი ისეთი ძირითადი დაშვების გამოყენება, როგორცაა „დარიცხვის მეთოდი“ და „ფუნქციონირებადი საწარმო“. დღეისათვის დატოვებულია მხოლოდ ერთი – „ფუნქციონირებადი საწარმო“, რომელშიც აღნიშნულია, რომ თუ საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას შეადგენს, ე.ი. ის თავის საქმიანობას აგრძელებს მომავალშიც და არ აპირებს მისი მასშტაბების შემცირებას ან საერთოდ ლიკვიდაციას. მაგრამ, თუ ამის საჭიროება არსებობს, მაშინ საწარმომ ანგარიშის შედგენას სხვა საფუძველი უნდა დაუდოს და ეს ყველაფერი განმარტოს შენიშვნების სახით¹. ამასთან დავეძინთ, რომ თუ საწარმოს განზრახული აქვს საქმიანობის შეწყვეტა ან მისი მასშტაბის საგრძნობლად შემცირება, მან ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადოს და წარადგინოს.

ამჟამად ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სრული კომპლექტი მოიცავს ფი-

ნანსური ანგარიშგების 16 საერთაშორისო სტანდარტს, ბუღალტრული აღრიცხვის 25 საერთაშორისო სტანდარტს და „ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს“.²

სანამ „დარიცხვის მეთოდს“ დავუბრუნდებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება ამ სტანდარტების საერთო დასახელების ანუ სახელწოდების შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტმა (ბასსკ), მოგვიანებით კი საბჭომ (ბასსს) გამოსცა „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს)“, ხოლო შემდეგ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს)“.

სტანდარტების 2000 წლის ქართულ გამოცემაში ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები განმარტებულია შემდეგნაირად – „ყოველ ქვეყანაში ფინანსური ანგარიშგების გამოცემისას მეტ-ნაკლებად გაითვალისწინება ადგილობრივი წესები. ეს წესები მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს, რომელსაც ავრცელებს მარეგულირებელი ორგანოები“.³ მაშასადამე, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები არის ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების წესები, ხოლო საერთაშორისო სტანდარტები – ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების საერთაშორისო წესები.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში აღნიშნულია, რომ ფინანსური ანგარიშ-

¹ <https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/542>, კონცეპტუალური საფუძვლები, პ.4.1.

² <https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/542>.

³ „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები“, თბილისი: ბაფ-ის გამომცემლობა, 2000 წ. გვ. 21. პ.9.

გება სტრუქტურულად გვიჩვენებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას და საქმიანობის ფინანსურ შედეგებს¹.

ბუღალტრული აღრიცხვის N_i საერთაშორისო სტანდარტში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ მოცემულია შემდეგი განმარტება - ფასს-ი შედგება უშუალოდ სტანდარტებისა და ინტერპრეტაციებისაგან, რომლებსაც გამოსცემს ბასს-ის საბჭო.

ფასის მოიცავს:

ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს;

გ) ინტერპრეტაციებს.²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების შედგენა არის ორი განსხვავებული რამ. შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტებიც ორი მიმართულებით მუშავდება. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ამ დოკუმენტს ეწოდოს „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ და არა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“, რომელიც თავის თავში მოიცავს ისევ ფასსებ-სა და ბასსებ-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ მთელი თავის თავში მოიცავს ისევ მთელს და კიდევ სხვა ნაწილს, რაც, რა თქმა უნდა, მართებული არ არის.

ახლა დავუბრუნდეთ „აღრიცხვის მეთოდს“. აღრიცხვის მეთოდის არსს სხვადასხვა ავტორი რამდენადმე განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოგვიდგენს, მაგალითად, პროფ. ლ. გრიგალაშვილი მას შემდეგნაირად განმარტავს: „აღრიცხვის მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოვლენებისა და შედეგების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე და არა ფულადი თანხების მიღების ან გადახდის დროს. აღრიცხვის მეთოდის შესაბამისად რეალიზებულად ითვლება მიწოდებული პროდუქცია, მიუხედავად იმისა თანხა შემოსულია თუ არა მიმწოდებლის ანგარიშზე; ხარჯები გაწეულად ითვლება მათი აღრიცხვისთანავე“³.

სხვა ავტორები შემდეგ განმარტებას გვთავაზობენ: „აღრიცხვის მეთოდით შემოსავლების აღიარებისათვის საკმარისია, რომ საკუთრების უფლება საქონელსა და მომსახურებაზე გადაეცეს მყიდველს და მან აღიაროს გარიგების საფუძველზე წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა კონტრაქტით დადგენილ ვადაში“⁴. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ავტორებს ყურადღება გამახვილებული აქვთ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემასა და მყიდველის მიერ ვალის აღიარებაზე.

პროფ. ე. ხარაბაძის განმარტებით, „ამ მეთოდის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს. ამას-

¹ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, თბილისი: გამომცემლობა „თერგი XXI“, 2005 წ. გვ. 558.

² <https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/517>, ბასს-1, პ. 7

³ ლ. გრიგალაშვილი. „ფინანსური აღრიცხვა“. თბილისი: გამომცემლობა „გეორგია“. 2014წ. გვ. 275.

⁴ ა. ხორავა და სხვ. „ბუღალტრული აღრიცხვა“. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012წ. გვ. 471.

თან, ისინი გატარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც განეკუთვნება¹. ამ შემთხვევაში ავტორი სტანდარტულ განმარტებას ეყრდნობა.

ავტორთა ჯგუფი (ზ. ლიპარტია, ნ. ფაილოძე და სხვა) დარიცხვის მეთოდს „დარიცხვის პრინციპად“ მოიხსენიებს და შემდეგ განმარტებას იძლევა: „დარიცხვის პრინციპი გულისხმობს, რომ საწარმოს შემოსავლების აღიარება-ასახვა ხდება აქტივის მყიდველზე გადაცემის ან მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევისას, ე. ი. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები შემოსავლად აღიარდება და ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება მაშინ, როდესაც საქონლის ფლობასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი მყიდველს გადაეცემა“².

დღეისათვის მოქმედი ბასს - 1 დარიცხვის მეთოდის გამოყენების ვალდებულებას და შინაარსს შემდეგნაირად განმარტავს: „საწარმომ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას უნდა გამოიყენოს დარიცხვის მეთოდი, რომლის დროსაც აქტივები, ვალდებულებები, შემოსავლები და ხარჯები უნდა აღიარდეს მაშინ, თუ ისინი დააკმაყოფილებს კონცეპტუალურ საფუძვლებში მოცემულ განმარტებას და აღიარების კრიტერიუმებს“³. თუ მოცემულ განმარტებას შევადარებთ ბუღალტრული აღრიცხ-

ვის საერთაშორისო სტანდარტების 2000 წლის ქართულ გამოცემასთან, ვნახავთ, რომ შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების გარდა, დარიცხვის მეთოდში იგულისხმება აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების საკითხიც. ამასთან, აღიარების კრიტერიუმები უკვე ბუღალტრული აღრიცხვის N1 საერთაშორისო სტანდარტში კი არ არის მოცემული, არამედ „კონცეპტუალურ საფუძვლებში“.

„კონცეპტუალური საფუძვლების“ მიხედვით, „აქტივი ის რესურსია, რომლისგანაც საწარმომ მომავალში ეკონომიკური სარგებელი უნდა მიიღოს, ხოლო ვალდებულების დაფარვა საწარმოდან რესურსების გასვლას გამოიწვევს. ამასთან, იგი მიმდინარე პერიოდის ვალდებულებაა, რომელიც წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად არის წარმოქმნილი“⁴. აქ საინტერესოა ერთი დეტალი, კერძოდ, „კონცეპტუალური საფუძვლების“ 4.5 პუნქტის შესაბამისად, „აქტივებისა და ვალდებულებების განმარტებებში მხოლოდ არსებითი ნიშანთვისებებია აღწერილი, მაგრამ განსაზღვრული არ არის მათი ბალანსში ასახვის კრიტერიუმები“⁵. ეს კრიტერიუმები მოცემულია 4.38 პუნქტში – „მუხლი, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ელემენტს წარმოადგენს ამ ელემენტის განმარტების შესაბამისად, უნდა აღიარდეს და აისახოს ფინანსურ

¹ ე. ხარაბაძე. ფინანსური აღრიცხვა. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009წ., გვ. 149.

² ნ. ფაილოძე, ჯ. ალანია, ზ. ლიპარტია, ვლ. კეკელიძე, ი. ხუციშვილი. საბუღალტრო საქმე, ტ. I. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2008წ., გვ. 28.

³ <https://saras.gov.ge/ka/lfrs/Pdf/517>, ბასს-1, პ. 27-28

⁴ <https://saras.gov.ge/ka/lfrs/Pdf/517>, კონცეპტუალური საფუძვლები, პ. 4.4.

⁵ <https://saras.gov.ge/ka/lfrs/Pdf/517>, კონცეპტუალური საფუძვლები, პ. 4.5.

ანგარიშგებაში, თუ: ა) მომავალში ამ მუხლით მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება ან საწარმოდან გასვლა; ბ) შესაძლებელია ამ მუხლის თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება¹. ამ პრობლემის გადასაწყვეტად უნდა განვსაზღვროთ რა არის „აქტივებისა“ და „ვალდებულებების“ ბუღალტრულ აღრიცხვაში და შემდეგ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვა არის სამეურნეო ოპერაციაზე, როგორც მომხდარ ფაქტზე, პირველადი დოკუმენტის შედგენა და ამის საფუძველზე ამ ოპერაციის ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახვა. მაგალითად, ძირითადი საშუალებების, საქონლის, ნედლეულის ან მასალების შექმნა ან შექმნის დროს ვალდებულების წარმოქმნა. მომდევნო ეტაპი არის ამ აქტივების ან ვალდებულებების ფინანსურ ანგარიშგებაში (ბუღალტრულ ბალანსში) აღიარება/ასახვა. აქ შეიძლება გამოვიყენოთ სტანდარტის მოთხოვნა, რომ „აღიარება არის საწარმოს ბალანსში ან მოგება/ზარალის ანგარიშში იმ მუხლის ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი ელემენტის განმარტებას და გულისხმობს მოცემული მუხლის სიტყვიერ და თანხობრივ ასახვას ბუღალტრულ ბალანსსა და მოგება/ზარალის ანგარიშში“. აქვე დავმენტ, რომ ასახვა უნდა გულისხმობდეს არა მარტო ბუღალტრულ ბალანსში ანუ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას, არამედ ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვასაც. ეს პროცესი კი არის „სამეურნეო ოპერაციის რეგისტრაცია“ ბუღალტ-

რულ აღრიცხვაში და შემდეგ ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში და არა „დარიცხვის მეთოდი“. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ „აქტივებისა“ და „ვალდებულებების“ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარება/ასახვის საკითხში „დარიცხვის მეთოდის“ გამოყენება არ არის მართებული მოთხოვნა. „დარიცხვის მეთოდი“ უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ „შემოსავლებისა“ და „ხარჯების“ აღიარება/ასახვისას და მასთან არ უნდა გავაიგივოთ აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება/ასახვის საკითხები. აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად შეიძლება მოვიყვანოთ ბუღალტრული აღრიცხვის განმარტებითი ლექსიკონი, სადაც ტერმინი „დარიცხვა“ შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „დარიცხვა (ინგლ. accruing) – ბუღალტრული გატარება, რომელიც ასახავს შემოსავლების ან ხარჯების აღიარებას“². მაშასადამე, დარიცხვაში უნდა ვიგულისხმოთ შემოსავლების მიღების უფლება ან ხარჯების გაწვევის ვალდებულება, როგორცაა, მაგალითად, მისაღები პროცენტების დარიცხვა, მისაღები ჯარიმების დარიცხვა ან გადასახდელი ხელფასის დარიცხვა, გადასახადების დარიცხვა, გადასახდელი ვალდებულებების დარიცხვა და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ „დარიცხვის მეთოდის“ შემდეგი დეფინიცია: „დარიცხვის მეთოდი – მეთოდი, რომლის მიხედვითაც შემოსავლების აღიარება/ასახვა ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება შემოსავლებზე უფლების მო-

¹ <https://saras.gov.ge/ka/Ifirs/Pdf/517>, კონცეპტუალური საფუძვლები, პ. 4.38

² „ბუღალტრული აღრიცხვის განმარტებითი ლექსიკონი“. აკად. ა. სილაგაძის საერთო რედაქციით. თბილისი: საგამომცემლო სახლი „სიახლე“, 2005 წ. გვ. 161.

პოვნის ან ხარჯების გაწევის ვალდებულების წარმოქმნის მომენტში, ფულადი თანხების მიღებისა და გადახდის მიუხედავად, ამასთან ეჭვგარეშეა ამონაგების მიღების შესაძლებლობა და ხარჯების გაწევის აუცილებლობა“.

დასკვნა

მიგვაჩნია, რომ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს ეწოდოს „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“. ამასთან, „დარიცხვის მეთოდი“ უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ „შემოსავლებისა“ და „ხარჯების“ მიმართ და მასთან არ უნდა

გავაიგივოთ აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება/ასახვის საკითხები. დარიცხვის მეთოდის განმარტება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: „დარიცხვის მეთოდი – მეთოდი, რომლის მიხედვითაც შემოსავლების აღიარება/ასახვა ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება შემოსავლებზე უფლების მოპოვების ან ხარჯების გაწევის ვალდებულების წარმოქმნის მომენტში, ფულადი თანხების მიღებისა და გადახდის მიუხედავად, ამასთან ეჭვგარეშეა ამონაგების მიღების შესაძლებლობა და ხარჯების გაწევის აუცილებლობა“.

ლიტერატურა

1. Grigalashvili L. Financial Accounting, Tb., Georgia, 2014, 275 p. (In Georgian).
2. Khorava A. Accounting, Tb., Publishing House “Meridiani”, 2012, 471p. (In Georgian).
3. Kharabadze E. Financial Accounting, Tb., Universali, 2009, 149p. (In Georgian).
4. Failodze N, Alania Dj, Lipartia Z, Kekenadze Vl, Khutsishvili O, Accounting, Tbilisi: Publishing House “Technical University”, 2008, 28p. (In Georgian).
5. Internacional Accounting Standards, GFPAA, Tb., 2000, 21p. (In Georgian).
6. Internacional Reporting Standards, Tergi XXI, 2005, 558p. (In Georgian).
7. <https://saras.gov.ge/ka/Ifirs/Pdf/542>, Conceptual Framework for financial reporting, (In Georgian).
8. <https://saras.gov.ge/ka/Ifirs/Pdf/517>, IASs -1, (In Georgian).
9. <https://saras.gov.ge/ka/Ifirs/Pdf/517>, Conceptual Framework for financial reporting. (In Georgian).
10. Accounting Terminology Guide, Publishing House “Siagle” Tb., 2005, 161p. (In Georgian).

UDC 339.15

SCOPUS CODE 1401

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-57-66>

Understanding the Essence of the Accrual Method According to the International Standards

Bidzina Grigalashvili Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160,
Tbilisi, 77 M. Kostava str.
E-mail: grigalashvilibidzina@gmail.com

Reviewers:

N. Failodze, Candidate of Technical Sciences, Professor, Faculty of Business Technology, GTU

E-mail: n.failodze@gtu.ge

D. Jalagonia, Professor, Academic Doctor of Economics, Sokhumi State University

E-mail: Dato.jalagonia@gmail.com

Abstract. Assumption of international accounting standards was considerable event in the accounting practice of Georgia. One of the innovation was the introduction of "accounting policy" and establishment such an element in the compilation of financial statements as "accrual method". Mentioned method was not used in Soviet accounting. Based on his explanation, after the introduction of international standards, the definitions have undergone some changes.

The article analyzes the implemented changes, definitions, given in international standards and conceptual frameworks, outlook of various authors concerning subject matter and relevant conclusions drawn. Based on researches have been proven that, the "accrual method" should be used by the enterprise in recognizing / reflecting income and expenses and not in relation to assets and liabilities. Based on the reconciliation and analysis of different definitions, the author's designation of the "accrual method" is proposed.

Key words: accounting policy; accrual method; international financial reporting standards; international accounting standards.

UDC 330.1

SCOPUS CODE 1403

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-67-75>

უსაფრთხოება კომპანიის მენეჯმენტში

რამაზ ოთინაშვილი ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: r.otinashvili@gtu.ge

რეცენზენტები:

თ. დევიძე, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: tamar devidze@gtu.ge

ნ. გეგენავა, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: . Nato Gegenava@gtu.ge

ანოტაცია. ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული საფრთხეების გასაწინააღმდეგებლად წარმატებული კომპანიების მენეჯმენტის სისტემაში არსებობს უსაფრთხოების სპეციალური სამსახური, რომლის სტრუქტურა დამოკიდებულია ბიზნესის მოღვაწეობის ხასიათსა და მასშტაბებზე. საშუალო ფირმის უსაფრთხოების სამსახური ოთხი სტრუქტურული დანაყოფისგან შედგება: 1. დაცვის; 2. ოპერატიული; 3. ანალიტიკური; 4. ტექნიკური. თითოეულში, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება დასაქმდეს 1-დან 10-მდე თანამშრომელი. ყველა ბიზნესს აქვს ზოგადი და სპეციფიკური გამოწვევები. მთავარი გამოწვევა უშუალო კონკურენტებიდან მომდინარეობს. მეტოქეობა ხშირად სცდე-

ბა ცივილიზებულ საზღვრებს და ფიზიკურ ან სხვა დაპირისპირებაში გადაიზრდება, განსაკუთრებით თუ მოცემულ სეგმენტში ახალი „მოთამაშე“ შედის. დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად არსებობს კერძო სამმებრო და დეტექტიური ორგანიზაციები, საინფორმაციო სააგენტოები, სასწავლო-სამეცნიერო და საკონსულტაციო ცენტრები, რომლებიც შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე აწარმოებენ სხვადასხვა მომსახურებას. დახვეწილია სახელმწიფო სამართლდამცავი ორგანოებისა და უსაფრთხოების კერძო სტრუქტურების კოორდინაცია. შექმნილი სპეციალური ორგანო, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს მათი საქმიანობის ჰარმონიზა-

ციას. კარგი იქნება აღნიშნული პრაქტიკის საქართველოს პირობებში გადმოღება.

საკვანძო სიტყვები: ბაზარი; ბიზნესი; კომპანია; კონკურენცია; უსაფრთხოება.

შესავალი

ბიზნესის მართვა დაკავშირებულია საფრთხეებთან. თითოეული ობიექტი, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულ გამოწვევებს აწყდება. მათი ზოგადი კლასიფიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა ნიშნით: წარმოშობის წყაროს მიხედვით; შედეგის სიმძიმის ხარისხით; მოხდენის ალბათობით; ბიზნესპროცესის ტექნოლოგიურ სტადიაზე ზემოქმედებით და ა.შ.

აღნიშნული გამოწვევების გასაწინააღმდეგოდ წარმატებული კომპანიების მენეჯმენტის სისტემაში ოპერირებს უსაფრთხოების სპეციალური დანაყოფი, რომლის სტრუქტურა დამოკიდებულია ბიზნესის მოღვაწეობის ხასიათსა და მასშტაბზე.

ყველა ობიექტისთვის, იქნება ეს სუპერმარკეტი, საკონდიტრო, სტომატოლოგიური კლინიკა, სპორტული ინვენტარის მაღაზია და ა.შ., საერთო პრობლემა რეალიზაციაა, რაც მაღალი მოგების საწინდარია. ამისათვის მნიშვნელოვანია მათი ბიზნესის უსაფრთხოდ ფუნქციონირება.

ძირითადი ნაწილი

ბიზნესს აქვს, ზოგადი და საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, სპეციფიკური გამოწვევები. საერთოა, მაგალითად, კონკურენტებიდან მომდი-

ნარე საფრთხეები – ბიზნესდაზვერვის ნიუანსები, ასევე კონტრაგენტებიდან და კრიმინალიდან მომდინარე გამოწვევები და ა.შ. სპეციფიკურია კონკრეტული ბიზნესის მართვის ტექნოლოგიიდან გამომდინარე. მაგალითად, სამშენებლო კომპანიას მწყობრიდან გამოუვიდა ამწე.

ავიღოთ კონკრეტული ბიზნესობიექტი, ყველაზე გავრცელებული სუპერმარკეტების ქსელიდან ერთ-ერთი. გავანალიზოთ რა გამოწვევები შეიძლება შეექმნას ტიპურ მარკეტს ოპერირების პროცესში?

დავიწყოთ იქიდან, რომ მან მუდმივად უნდა აკონტროლოს ფასები და ხარისხი მოცემულ უბანში (საბაზრო სეგმენტში), ასევე საქმის კურსში იყოს კონკურენტების ბიზნესის თავისებურებებზე – ხომ არ შემოიტანეს ახალი საქონელი ან მომსახურება, როგორი აქციები აქვთ, ხომ არ დანერგეს სიახლეები დაცვის სისტემაში და ა.შ.

სუპერმარკეტისთვის საფრთხეს შეიძლება ქმნიდნენ:

- უშუალო კონკურენტები, მეზობლად მდებარე ანალოგიური პროდუქციით მოვაჭრე მარკეტები;
- ირიბი კონკურენტები, მოცემულ რაიონში ანალოგიური და მსგავსი ნაწარმით მოვაჭრე ობიექტები;
- მომწოდებლები, დისტრიბუტორები – დააგვიანეს მოწოდება, მოულოდნელად გაზარდეს ფასი, უხარისხო (ვადაგასული) საქონელი შემოიტანეს და ა.შ.;
- კონტრაგენტები – დაარღვიეს ხელშეკრულების პირობები. მაგალითად, ინტერნეტის დროული და ხარისხიანი მოწოდება; ასევე ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, კომუნალური სერვისები: ელექტროენერგია, გაზი, წყალმომარაგება, დასუფთავება და ა.შ.

- თანამშრომლები, მათი მხრიდან ქურდობის გამოვლენის შემთხვევები; ასევე დისციპლინური გადაცდომები – დაგვიანება, მოვალეობის ზერელედ შესრულება, დაუდევრობა, პროდუქციის ნებისით თუ უნებლიედ დაზიანება და ა.შ.

- სახელმწიფო სტრუქტურები – არასტაბილური ბიზნესგარემო, მაკროეკონომიკური დისპროპორციები და რყევები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილება, დეფიციტი გარკვეულ რესურსებსა და მომსახურებაზე; ასევე გადასახადებისა და მოსაკრებლების ადმინისტრირებაში მოულოდნელი ცვლილებები, გამკაცრებული სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მოთხოვნები და ა.შ.;

- კლიენტები – გაღიზიანებული მომხმარებელი იპარავს ან კონფლიქტში შედის მოლარე-ოპერატორთან, კონსულტანტთან და ა.შ.

- კრიმინალური სტრუქტურები – ძარცვა, ყაჩაღური თავდასხმა, გამოძალგები და ა.შ.

- მოულოდნელი საფრთხეები – მაგალითად, მეზობლად მიმდინარე სარემონტო-გათხრითი სამუშაოების შედეგად დაზიანდა სუპერმარკეტში შემავალი ელექტროენერჯის სადენი, რამაც შეაჩერა მაცივრებისა და კონდენციონერების მუშაობა. ბუნებრივია, ეს მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის მალფუნქციონირების პროდუქტების მარაგს.

მთავარი გამოწვევა მაინც უშუალო კონკურენტებიდან მომდინარეობს. მათი სპეციალურად მომზადებული თანამშრომლები არცთუ იშვიათად სტუმრობენ მეზობელ მარკეტს, რათა უკეთ შეისწავლონ მისი სავაჭრო ბიზნესის სხვადასხვა ასპექტი: ასორტიმენტი, ფასი, ხარისხი, მომსახურების პირობები, მომხმარებელთა მოზიდვისა და შენარჩუნების მეთოდები და ა.შ.

მნიშვნელოვანია სავაჭრო დარბაზის დაგეგმვა – დაწყებული პურიდან სპირტიანი სასმელებით დამთავრებული ყველა პროდუქტს სავაჭრო

სივრცეში განსაზღვრული ადგილი აქვს. თანამედროვე ტელეფონები იძლევა სურათისა და ვიდეორგოლის გადაღების საშუალებას, ასევე ლაივში უშუალო მითითებების მიღების შესაძლებლობას.

საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ ე.წ. „ფარული შესყიდვა (mystery shopping), პერსონალის ჩვევებსა და ყურადღებთანობაზე დაკვირვება, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით მათთან გასაუბრება. ამ დროს შეიძლება განისაზღვროს არა მხოლოდ არსებული შეღავათები, არამედ იმ ინტერესების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, რაც კონკურენტს მნიშვნელოვან უპირატესობას მიანიჭებს, ვინაიდან აღნიშნულ ბიზნესში ბევრი რამე დაკვირვებით და ერთმანეთის მიბაძვით ინერგება.

მაგალითად, სუპერმარკეტის, როგორც ვაჭრობის ორგანიზების, მოდელისთვის აუცილებელი ატრიბუტია ე.წ. „სასურსათო ურიკა“ – ნაყიდი პროდუქტების სალარომდე და შემდეგ (თუ საჭიროა) მანქანამდე მისატანად. ის მარკეტებში გაჩნდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იანი წლებში, როდესაც ერთ-ერთმა ქალბატონმა შოპინგის დროს ნაყიდი პროდუქტები საბავშვო ეტლით გადაიტანა. აღნიშნულმა მარკეტმა მაშინვე დანერგა ეს იდეა პრაქტიკულ მომსახურებაში. სიახლე აიტაცეს მეზობელმა მარკეტებმაც. დღეს სუპერმარკეტები იყენებს მსგავს ეტლებს (უკვე სხვადასხვა ზომის და დიზაინის).

თუ კონკურენტი მოინდომებს, შეიძლება გარკვეული დროით, მეტოქის ჩამოსაშორებლად, თვითღირებულებითაც იმუშაოს. ამ შემთხვევაში გაიმარჯვებს ძლიერი, რაც გამოიხატება გამძლეობაში ანუ დემპინგურ ფასზე მუშაობის. როგორი ფინანსური და ფსიქოლოგიური და ა.შ. რესურსი აქვს. ამ შემთხვევაში იგულისხმება ერთი და იგივე ხარისხი და სერვისი. ზოგ შემთხვევაში, მეტოქეობა შეიძლება წარიმართოს ხარისხით – მეტი წონით და გემოვნური თვისებებით შეჯიბრი;

ასევე სერვისით კონკურენციაში – შეფუთვა, სანიტარიული პირობები და ა.შ.

მეტოქეობის შემადგენელი ნაწილია ის, რომ ბრძოლა შეიძლება გასცდეს ცივილიზებულ საზღვრებს და ფიზიკურ ან სხვა დაპირისპირებაში გადაიზარდოს, თუ მოცემულ სეგმენტზე ახალი „მოთამაშე“ გამოვა.

განსაკუთრებით მწვავეა დაპირისპირება მსხვილ კომპანიებს შორის. პრაქტიკაში ცნობილია კონკურენტული დაზვერვის უამრავი შემთხვევა, რომელიც ხშირად არაცივილურ ფორმებსაც ღებულობს.

თუ დაპირისპირება სცილდება სამართლებრივ საზღვრებს, საჭიროა სპეციალური სტრუქტურებისთვის მიმართვა. დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში უსაფრთხოების უზრუნველყოფ სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად არსებობს კერძო სამსახურ და დეტექტიური ორგანიზაციები, საინფორმაციო სააგენტოები, სასწავლო-სამეცნიერო და საკონსულტაციო ცენტრები, რომლებიც შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე აწარმოებენ სხვადასხვა მომსახურებას: კომერციული საიდუმლოების დაცვა, კონკურენტებისა და კონტრაქტის დამდები პირების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, არასაიდუმლო პარტნიორების გამოვლენა და ა.შ.

განვითარებულ ქვეყნებში სწორედ კერძო სტრუქტურებზე მოდის ბიზნესის დაცვის ძირითადი დატვირთვა. მაგალითად, აშშ-ში მათი საერთო ბიუჯეტი 50%-ით მეტია სახელმწიფო პოლიციის ბიუჯეტზე, ინგლისში კერძო ობიექტებზე დასაქმებულთა რაოდენობა 2-ჯერ აღემატება სახელმწიფო პოლიციის თანამშრომლების რაოდენობას. 5 - მილიონიან ისრაელში არის 2 ათასი კერძო დეტექტიური და დაცვითი კომპანია.

დახვეწილია სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოებისა და უსაფრთხოების კერძო სტრუქტურების კოორდინაციის საკითხები. შექმნილი სპე-

ციალური ორგანო, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს მათი საქმიანობის ჰარმონიზაციას ისეთ პრობლემებზე, როგორცაა:

- ოპერატიული ინფორმაციის გაცვლა;
- ძალებისა და საშუალებების ერთობლივი გამოყენება;
- კადრების მომზადება, გადამზადება და ა.შ.

საქართველოში ჯერ არ არის ჩამოყალიბებული კომპლექსური მიდგომა ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემაზე. ერთი მხრივ, სახელმწიფო ვერ თმობს მონოპოლიურ პოზიციებს, მეორე მხრივ, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს კერძო ბიზნესის უსაფრთხოებას.

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ერთობლივი კვლევის „Doing Business 2020“ მიხედვით, საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-7 ადგილზეა. თუმცა, რატომღაც მეწარმეობის მასიური გავრცელება და ზრდა არ ხდება.

ბიზნესის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურია არა მხოლოდ მისი რეგისტრაცია, არამედ კონკრეტულ საბაზრო სეგმენტში შესვლა და იქ ადგილის დამკვიდრება. მუდმივად საუბარია სახელმწიფოს მხრიდან მცირე ბიზნესის ხელშეწყობაზე, მაგრამ რა უნდა გაკეთდეს კონკრეტულად, ამაშია მთავარი გამოწვევა. ჩვენი აზრით, პრობლემა უნდა განვიხილოთ იმ საფრთხეების ჭრილიდან, რომლებიც დამწყები მცირე მეწარმეების წინაშეა.

საჭიროა დამუშავდეს კონკრეტულ-დარგობრივ საბაზრო სეგმენტებში ბიზნესობიექტის შესვლის, უსაფრთხოდ ოპერირების დაწყებისა და შემდგომი ფუნქციონირების მეთოდოლოგია. მაგალითად, ავილოთ სამშენებლო ბლოკის წარმოების (ან სხვა) ბიზნესი. რა ტენდენციები არსებობს მოცემულ საბაზრო სეგმენტში? უნდა გაირკვეს რა წინააღმდეგობებს აწყდებიან ბაზრის წამყვანი, ძირითადი და მცირე „მოთამაშეები“. დღეს არც ერთი უწყება არ

ფლობს კონკრეტულ დარგობრივ სეგმენტებში არსებულ პრობლემებზე სრულყოფილ ინფორმაციას.

როგორც ახლად დარგული მცენარე დასაწყისში საჭიროებს მზრუნველის ხელს, ასევე ბიზნესიც. საბაზრო ურთიერთობები მკაცრია, იგი ახლოსაა ველური ბუნების წესებთან, სადაც მოქმედებს პრინციპი – იმარჯვებს ძლიერი. შედეგად, სწორედ საფრთხეების შერბილების კუთხით ესაჭიროება ხელშეწყობა დამწყებ მეწარმეს.

მეთოდოლოგია უნდა ითვალისწინებდეს ბიზნესის უსაფრთხოების სფეროს საჭირო კადრებით უზრუნველყოფასაც. ამ მხრივ საზღვარგარეთ არსებობს მდიდარი გამოცდილება, სადაც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ფუნქციონირებს აღნიშნული პროფილის კადრების მომზადების სისტემა. მაგალითად, აშშ-ში თხუთმეტი მსგავსი კოლეჯია, რომელთაგან ხუთი მაგისტრის ხარისხს იძლევა. ისინი აღჭურვილია დახვეწილი სასწავლო პროგრამებითა და მეთოდური გეგმებით, საჭირო სპეციალური ლიტერატურითა და ტექნიკური საშუალებებით, სტუდენტები გადიან პრაქტიკას წარმატებულ ბიზნესობიექტებზე და ა.შ. ამ კუთხით გამოირჩევა ასევე აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, განსაკუთრებით იაპონია და ჩინეთი.

რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და პირადად ვლადიმერ პუტინი ძალზე მოხერხებულად იყენებენ გაეროში ორ ანტინომიურ სამართლებრივ პრინციპს: ერთა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ურღვეობის შესახებ, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამაში მათ ხელი გარკვეულწილად დასავლეთმაც შეუწყო. მიგვაჩნია, რომ, მიუხედავად მორალური უპირატესობისა, დასავლეთმა კოსოვოს შემთხვევაში შეცდომა დაუშვა. ამ აზრს ისიც აღრმავებს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა 2014 წლის მარტში განაცხადა, რომ „თუ კოსოვო განსაკუთრებული შემთხვევაა, მაშინ ყირიმიც არანაკლებ განსაკუთრებული შემთხვევაა“.

მიუნხენის კონფერენციაზე კი 2007 წლის თებერვალში რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა: „ძალის გამოყენება ლეგიტიმურად შეიძლება ჩაითვალოს, თუ გადაწყვეტილება მიღებულია გაეროს ჩარჩოების საფუძველზე და გაერო არ უნდა შევცვალოთ არც ნატოთი და არც ევროკავშირით. როდესაც გაერო რეალურად გააერთიანებს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალებს, რომელსაც ნამდვილად შეეძლება რეაგირება მოახდინოს ცალკეულ ქვეყნებში მიმ-

დინარე მოვლენებზე, როდესაც თავს შევიკავებთ საერთაშორისო სამართლის უგულვებელყოფისაგან, მაშინ სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სიტუაცია შევა მხოლოდ ჩიხში და მძიმე შეცდომების რიცხვი მოიმატებს, ამასთანავე, ცხადია, უნდა მივალწიოთ იმას, რომ საერთაშორისო სამართალს ჰქონდეს უნივერსალური ხასიათი როგორც გაგების, ისე ზომების მიღებაში“ [2].

რუსეთის პრეზიდენტმა უკმაყოფილება გამოხატა ნატოს გაფართოების პერსპექტივასთან დაკავშირებით. ეს გასაგებია, რადგან ნატო სამხედრო-პოლიტიკური ბლოკია, რომელიც თავისუფალი სამყაროს უსაფრთხოების მთავარი გარანტიაა. რუსეთს წესით უნდა აწყობდეს მის ირგვლივ დემოკრატიული გარემოს შექმნა, რადგან უახლესმა ისტორიულმა წარსულმა გვიჩვენა, რომ დემოკრატიული რეჟიმები ერთმანეთში არ ომობენ. მეზობლად თუ დემოკრატიული სახელმწიფო გყავს, ეს ნიშნავს, რომ შენც განვითარებისათვის კარგი პერსპექტივა გექმნება, მაგრამ რუსეთის ფედერაცია სხვაგვარად ფიქრობს და ეს მხოლოდ მისი აგრესიული პოლიტიკით არ არის განპირობებული. ჩვენი აზრით, ეს არის ბუნებრივი მოცემულობა, რუსეთს მენტალური სხვაობა აქვს დასავლეთთან, ის ევრაზიული სახელმწიფოა და დასავლური ლიბერალური ფასეულობები მისთვის იმ ფორმით, რა ფორმითაც ის ევროპულ და ამერიკულ საზოგადოებაშია გავრცელებული, მიუღებელი აღმოჩნდა. რუსეთში ლიბერალურმა რეფორმებმა სწორედ ამ ფაქტორის გამო განიცადა კრახი. მაშინ რუსეთში სამოქალაქო საზოგადოება ვითარდებოდა, სახელმწიფო კი სუსტი იყო. პუტინის მმართველობის პირობებში რუსეთის სახელმწიფო ძლიერდება

და ახალ პრეტენზიებს გამოთქვამს მსოფლიო წესრიგის მოწყობის თვალსაზრისით.

რუსული ტრადიციულ-კონსერვატორული მენტალიტეტი უცხო აღმოჩნდა დასავლურ რაციონალისტურ მსოფლმხედველობასთან, სადაც ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბება უმთავრესად ბიუროკრატიული ცენტრალიზმის პრინციპით მიმდინარეობდა. რუსეთში კი ამგვარი ტიპის სუვერენული სახელმწიფო არასოდეს ყოფილა [3:37].

XX საუკუნის 90-იანი წლების ლიბერალური რეფორმების კრახი რუსეთის ისტორიაში პირველი არ არის. გავიხსენოთ რუსეთის 1905 წ., ასევე 1917 წლის თებერვლის რევოლუციები. რატომ არ მოხდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის დემოკრატიული განვითარება? საქმე გვაქვს ისტორიულ შეცდომასთან? ისტორიული ფსევდომორფოზები მოვლენათა მხოლოდ ზედაპირული ხედვის შედეგია. სინამდვილეში კი ყველა ეპოქა იძლევა იმას, რისი შესაძლებლობაცაა არსებულ საერთაშორისო გეოპოლიტიკურ ვითარებაში, სხვაგვარად ეპოქის პოტენციალში.

პროფესორი ივანე მენთეშაშვილი სტატიაში „ობიექტური კანონზომიერებებისა და ალტერნატივის შესახებ ისტორიაში“ ეხება რა ლიბერალური პროექტის კრახის მიზეზებს 1917 წლის რევოლუციის შედეგ, აღნიშნავს: „საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის კონსერვატიულმა ხასიათმა განაპირობა თვითმპყრობელობის ახლებური ფორმებით აღდგენა. სავარაუდო ლიბერალური პლატფორმის დამარცხება, პირველ რიგში, გამოიწვია იმან, რომ ის ვერ იქცა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მოთხოვნილებად. საქმე მართლაც ის კი არ არის, რომ

ერთმა პიროვნებამ დანარჩენებს სძლია, არამედ ის, რომ ლიბერალური აზრების განხორციელებისათვის საზოგადოების წიაღში არ აღმოჩნდა შესაბამისი წანამძღვრები“ [4:32]. ზუსტად იგივე მიზეზების გამო განიცადა დასავლურმა რეფორმებმა კრაზი ბორის ელცინის პრეზიდენტობის პერიოდში (XX საუკუნის 90-იანი წლები). პუტინის მმართველობის (რომელიც დღემდე გრძელდება) პერიოდში მომხდარი მოვლენები კი მეტყველებს იმაზე, რაც რუსული საზოგადოების მოთხოვნების წიაღში იდო. მიუნხენის კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლა იყო აღიარებისა და პრესტიჟისათვის ბრძოლის მაგალითი „ცივ ომში“ დამარცხებული საბჭოთა კავშირის მემკვიდრის, რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელის მხრიდან. მიუნხენის კონფერენცია იყო ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესის დასაწყისი, ეს იყო ახალი ვექტორი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში. რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლამ ბიძგი მისცა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ახალ მიმართულებებს. ნატოზე განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება იმით აიხსნება, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გაფართოებით რუსეთს სულ უფრო ეზღუდებოდა სამოქმედო არეალი თავისი მიზნების განხორციელებაში, მაგრამ ვლადიმერ პუტინის გამოსვლაში იყო ლოგიკა, რომელსაც ყურადღებით აკვირდებოდა კონფერენციის ყველა მონაწილე. რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა: „ვფიქრობ, ერთი რამ ნათელია: ნატოს გაფართოების პროცესს არაფერი აქვს საერთო თავად ალიანსის მოდერნიზაციასთან, ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. პირიქით, ეს არის ურთიერთ-

შორის ნდობის დამაქვეითებელი სერიოზული მაპროვოცირებელი ფაქტორი. ამიტომ, გვაქვს სამართლიანი უფლება ვიკითხოთ: ვის წინააღმდეგაა ეს გაფართოება? რა მოუვიდა იმ აღთქმას, რომელსაც გვაძლევდნენ დასავლელი პარტნიორები ვარშავის ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ? სად არის ეს განცხადებები? მათ შესახებ აღარავის არაფერი ახსოვს, მაგრამ მე ჩემს თავს უფლებას მივცემ აუდიტორიას შევახსენო მათ შესახებ. შეგახსენებთ 1990 წლის 17 მაისს ბრიუსელში ნატოს გენერალური მდივნის, ბატონ ვერნერის ციტატას. მან თქვა: „თავად ფაქტი, რომ ჩვენ მზად ვართ არ განვაღაგოთ ნატოს ჯარები გფრ-ის საზღვრებს მიღმა, საბჭოთა კავშირს უსაფრთხოების მყარ გარანტიას აძლევს“. სად არის ეს გარანტია?

ბერლინის კედლის ქვები და ბეტონი უკვე კარგა ხანია სუვენირებად წაიღეს, მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ მისი დაცემა შესაძლებელი გახდა ისტორიული არჩევანის, მათ შორის ჩვენი ხალხის, რუსეთის ხალხის არჩევანის გამო, დემოკრატიისა და თავისუფლების, ღიაობისა და გულწრფელი პარტნიორობის სასარგებლოდ, დიდი ევროპული ოჯახის ყველა წევრთან ერთად. ამჟამად კი ცდილობენ თავს მოგვახვიონ ახალი გამყოფი ხაზები და კედლები, მართალია ვირტუალური, მაგრამ მაინც გამყოფი, რომელიც ნაწილებად ჭრის ჩვენს კონტინენტს. ნუთუ ისევ საჭირო გახდება მრავალი წელი და ათწლეული, მრავალი თაობის პოლიტიკოსთა ცვლილება, რათა ისევ „დავშალოთ“, „დემონტაჟი“ მოვახდინოთ ამ ახალი კედლების“? [2]

ამ სიტყვებიდან წელიწად-ნახევარში რუსეთის ფედერაციამ თავად დაიწყო ახალი ხაზების, მავ-

თულხლართებისა და სხვა გამყოფი საშუალებების აგება. მისი სამიზნე უმთავრესად პოსტსაბჭოთა სივრცის ურჩი სახელმწიფოები – საქართველო და უკრაინა იყო. მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ „განსხვავებულ ენას“, რომლითაც რუსეთის პრეზიდენტი მიმართავდა უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს. თავად ტექსტში არაფერია მიუღებელი, თითქოს ის არაფერს ახალს არ ლაპარაკობს. ვის სურს ახალი ზღუდეები, ბარიერები, კედლები? მით უმეტეს თუ ამის საფუძველი არ არსებობს. მაგრამ წინააღმდეგობა, რომელზედაც რუსეთის ლიდერი არაფერს ამბობდა, იმალება იმ ცხოვრების წესის მიუღებლობაში, რომელიც ევრო-ატლანტიკურ სამყაროშია. თუ დასავლური ტიპის დემოკრატიაზე ყველა თანხმდება, მაშინ წინააღმდეგობაც არ არსებობს. მაგრამ, სწორედ ცივილიზებული, მენტალური სხვაობა იყო ის ბუნებრივი ბარიერი, რომელიც ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა კიდევ მიუნხენის კონფერენციაზე. მიგვაჩინა, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობები რუსეთისათვის არ არის ბუნებრივი მოცემულობა. თუ რუსეთი ამ გზას დაადგებოდა, მის პოლიტიკურ მესვეურთა აზრით, იგი გახდებოდა დასავლეთის სატელიტი. ეს არის ის მომენტი, რასაც ფრენსის ფუკუიამა აღიარებისათვის ბრძოლას უწოდებს. ამერიკელი მკვლევრის აზრით, „უნივერსალურ აღიარებას უპირისპირდება აღიარების არასრული, ნაწილობრივი ფორმები, რომლებიც ეთნოსს, რელიგიას, რასას, სექტისადმი კუთვნილებას, გენდერს და სხვა ცალკეულ ნიშნებს ან თუნდაც ცალკეული ინდივიდების სხვებზე უპირატესი და არაპრივილეგირებული მდგომარეობის დეკლარირებას ემყარება. ლი-

ბერალურ დემოკრატიაში იდენტობასთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესის გამწვავება ერთ-ერთი მთავარი საფრთხეა, რომლის წინაშეც ეს პოლიტიკური სისტემები დგას. საზოგადოება, რომელიც არ ეცდება ღირსების უფრო უნივერსალურ გაგებას მიუახლოვდეს და დაამკვიდროს ის, განწირულია სოციალური კონფლიქტების გამწვავებისათვის“ [5:18].

რუსეთის ფედერაციასა და დასავლეთს შორის სწორედ ამ უნივერსალური ფასეულობების გაგებაზეა უთანხმოება, სწორედ აქ გადის გამყოფი ზღვარი, მაგრამ ეს ზღვარი არ არის ისეთი მკვეთრი, როგორც ეს ორპოლარული მსოფლიოს პერიოდში იყო, როცა უკიდურესად განსხვავებული დასავლური დემოკრატები და კომუნისტური სამყარო უპირისპირდებოდა ერთმანეთს. დღეს რუსეთიც აცხადებს, რომ მასთან დემოკრატიაა, ოღონდ განსხვავებული „სუვერენული“ დემოკრატია, რომელიც 2006 წელს კრემლის ერთ-ერთმა იდეოლოგმა ვლადისლავ სურკოვმა გაახმოვანა.

„სუვერენული დემოკრატის“ თანახმად: 1. რუსმა ხალხმა თავად უნდა განსაზღვროს ქვეყნის ხელისუფლების წყაროები; 2. რუსეთმა ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოების სუვერენულობის ზრდას – რაც განასახიერებს დასავლეთის მიერ მის საშინაო საქმეებში ჩარევასთან რუსეთის მუდმივ წინააღმდეგობას; 3. დემოკრატიული სახელმწიფო სუვერენულად თავად უნდა წყვეტდეს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს და ირჩევდეს საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციას – რაც ნატოს ახალ წევრებსა და ალიანსში შესვლის მსურველებს შორის მთავარი განსხვავებაა,

რომლებიც, რუსეთის აზრით, ალიანსს და, შესაბამისად, აშშ-ს ზედმეტ გავლენას მიანიჭებს საკუთარ ეროვნულ უსაფრთხოებაში [6:67-68].

ტერმინი „სუვერენული დემოკრატია“ არაერთხელ გამოიყენა რუსეთის პოლიტიკური ელიტის არაერთმა წარმომადგენელმა, მათ შორის პრეზიდენტმა პუტინმაც.

მიუნხენის 2007 წლის უსაფრთხოების კონფერენციაზე ბევრ სხვა საკითხებზეც იყო საუბარი, მათ შორის ტერორიზმზე, ნარკოტრეფიკზე, არალეგალურ მიგრაციაზე, შეიარაღების კონტროლზე და ა.შ. ჩვენს მიზნებში ამჯერად მათი განხილვა არ შედის. სხდომის თავმჯდომარე ხ. ტელჩიკმა პუტინს რამდენიმე შეკითხვაც დაუსვა ადამიანის უფლებების, ნატოს გაფართოების საკითხთან დაკავშირებით, თუ რატომ ფიქრობდა იგი, რომ ნატო საფრთხე იყო რუსეთისთვის, როცა ევროპა მას საპირისპიროს უმტკიცებდა, რუსეთში ერთპოლარულ ხელისუფლებაზე და ა.შ. რაზედაც რუსეთს პრეზიდენტმა ჩვეული პროპაგანდისტული მანერით უპასუხა, მაგრამ კონფერენციის მთავარი შედეგი, ვფიქრობთ, რუსეთსა და დასავლეთს შორის წინააღმდეგობის ახალი ეტაპის დაწყება იყო. მიგვაჩნია, რომ ელცინის პერიოდი იყო ლოგიკური პაუზა რუსეთ-დასავლურ ურთიერთობებში. ეს იყო გარდამტეხი ეტაპი „ცივი ომის“ შემდეგ ორ განსხვავებულ სოციალურ-კულტურულ და ცივილიზებულ სუბიექტებს შორის. როგორც ვიცით, მეორე მსოფლიო ომს მოჰყვა გარდაუვალი დაპირისპირება ყოფილ მოკავშირეებს (სსრკ, აშშ და დიდი ბრიტანეთი) შორის, ზუსტად ასევე „ცივი ომის“ შემდეგ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ევრო-ატლანტიკური სივრცე და რუსეთის

ფედერაცია, ორივე შემთხვევაში მათ (მეორე მსოფლიო ომი და „ცივი ომი“) ჰარმონიულად რომ გაეგრძელებინათ თანამშრომლობა – ერთ შემთხვევაში საბჭოთა კავშირსა და დემოკრატიულ სამყაროს, ხოლო მეორე შემთხვევაში – რუსეთის ფედერაციასა და დასავლეთს შორის, მივიღებდით „იდეალურ მსოფლიო წესრიგს და ისტორიაც „დასრულდებოდა“, კაცობრიობა მიაღწევდა სანუკვარ მიზანს, რაც ჯერჯერობით, სამწუხაროდ, მხოლოდ ვირტუალურად შეიძლება წარმოვიდგინოთ. ეს არის მარადიული კითხვა, ზოგადად, მსოფლიო წესრიგის შესაძლებლობის თუ შეუძლებლობის შესახებ, რომელიც სცდება პოლიტიკური საკითხის სფეროს და ფილოსოფიურ ასპექტში ინაცვლებს. ამიტომ ჩვენს ნაშრომს დავასრულებთ ფ. დოსტოევსკის ცნობილი ფრაზით, რომელიც დიდმა მწერალმა და მოაზროვნემ ადამიანის ბუნებას დაუკავშირა: „ადამიანს მიზნის მიღწევის პროცესი უფრო უყვარს და არა თავად მიზანი და ვინ იცის, იქნებ მთელი ეს მიზანი დედამიწაზე, რომლისკენაც მიისწრაფვის კაცობრიობა, მდგომარეობს მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის პროცესის უწყვეტობაში, სხვა სიტყვებით, თავად სიცოცხლეში და არა საკუთრივ იმ მიზანში, რომელიც, ცხადია, უნდა იყოს სხვა არაფერი, რომ ორჯერ ორი ოთხია. ე.ი. ფორმულა, რომ ორჯერ ორი ოთხია უკვე აღარაა სიცოცხლე, არამედ სიკვდილის დასაწყისია“.

ამიტომ ვფიქრობთ, რომ დედამიწაზე უნივერსალურ იდეოლოგიაზე ვერავის ექნება პრეტენზია. კაცობრიობა ისევ და ისევ განსხვავებულის თანაარსებობის პრინციპზე უნდა შეთანხმდეს, რაც ჯერჯერობით შორეულ პერსპექტივად გვესახება.

დასკვნა

ამრიგად, 2007 წლის თებერვალში, გერმანიის ქალაქ მიუნხენში გამართულმა უსაფრთხოების კონფერენციამ ახალი მსოფლიო წესრიგის კონტურები გამოკვეთა, რომელიც დღეისათვის ფორმირების პროცესშია. სახეზეა ახალი იდეოლოგიური დაპირისპირება. ეს დაპირისპირება არა ხელოვნური, ვინმეს მიერ კონსტრუირებული კი არ არის, არამედ ბუნებრივი პროცესია. ცივილიზებული შეუთავსებლობა წარმოშობს დაპირისპირებას, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ბევრი ფიქრობდა, რომ რუსეთი პროდასავლური გზით წავიდოდა და მსოფლიოს ყველაზე წარმატებულ ცივილიზებულ სივრცეს შეუერთდებოდა. თავიდან თითქოს ასეც მოხდა. ბორის ელცინის პრეზიდენტობის პერიოდში რუსეთში დაიწყო სამოქალაქო საზოგადოების წარმოქმნა, რომელსაც რუსულ ცივილიზებულ ბირთვში წამყვანი ფუნქცია უნდა შეესრულებინა, მაგრამ გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს აშკარა გახდა რუსეთში ლიბერალური რეფორმების კრაზი, რასაც რუსული სახელმწიფოს სისუსტეც დაერთო. რუსეთის

ტერიტორიული მთლიანობა კი სერიოზული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. არ იყო გამორიცხული ჩეჩნეთისთვის სხვა ავტონომიებსაც მიებაძა.

სწორედ ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში მოვიდა ხელისუფლების სათავეში ვლადიმერ პუტინი, რომელმაც რუსეთი მწვავე კრიზისული ვითარებიდან გამოიყვანა, რისთვისაც ყველაზე ხისტი მეთოდები გამოიყენა. 2007 წლის თებერვალში მიუნხენში მის სიტყვას ფართო გამოხმაურება მოჰყვა როგორც პოლიტიკურ, ისე სამეცნიერო წრეებში. რუსეთის პრეზიდენტმა მკვეთრად გააკრიტიკა ერთპოლარული მსოფლიოს ფორმირების მცდელობა და სერიოზული განაცხადი გააკეთა ახალი რუსული პოლიტიკური პოლუსის შესაძლო წარმოქმნის შესახებ. ყოველივე ეს მოსალოდნელი იყო და იგი ბუნებრივ პროცესად მიგვაჩნია, რითაც ისტორია კი არ „დასრულდა“, არამედ ახალი კონტურები შეიძინა და კაცობრიობა ახალი დაპირისპირების ფაზაში შევიდა. ახალი „ცივი ომი“ კი რით დასრულდება, ამაზე პროგნოზის გაკეთება ნაადრევია. კაცობრიობის წარმატება კი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად შეძლებს ის განსხვავებულის თანაარსებობის პრინციპზე შეთანხმებას.

ლიტერატურა

1. Hegel F., Philosophy of History, Tbilisi, 2001, (In Georgian).
2. President of the Russian Federation, V. Putin's speech at the Munich Conference on Security Policy, February 10, 2007. <http://kremlin.ru/events/president/transcripts/24034> (In Russian).
3. Dugin A., "Basics of Geopolitics", Tbilisi, 1999, (In Georgian).
4. Menteshashvili A., "History of Objective Regularities and Alternatives", Scientific-Methodological Journal "History", Tbilisi, 1998. (In Georgian).
5. Fukuyama F., Identity, Tbilisi, 2018(In Georgian).
6. Toroshelidze I., "Putin's Foreign Policy", The group of political research, Tbilisi, 2008, (In Georgian).
7. Kvetenadze Z., "Russia's Foreign Policy and NATO's Expansion to the East", Journal "Issues of New and Recent History" N2 (8), Tbilisi, 2010. p. 287-292. (In Georgian).
8. EU, Russia Have Great Opportunity for Counterterrorism Cooperation – Official, Sputnik 2017. <https://sputniknews.com/europe/201706071054406018-eu-russia-counterterrorism-cooperation-iklody/> / (In English).
9. Murvanidze L., "The Contemporary Russian Foreign Policy in the Post-Soviet Space", Doctoral Dissertation, GTU, Tbilisi, 2016. (In Georgian).
10. Ghudushauri N., "Political Anatomy of Russia", Doctoral Dissertation, GTU, Tbilisi, 2009. (In Georgian).

UDC 627.11:627.81

SCOPUS CODE 1901

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-114-126>

2007 Munich Conference and Contours of the New World Order

- Karlo Kopaliani** Department of Political and International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77 Kostava street
E-mail: karlo.kopaliani@yahoo.com
- Zurab Kvetenadze** Department of Political and International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77 Kostava street
E-mail: kvetenadzezurabi07@gtu.ge

Reviewers:

K. Jjeishvili, Professor, Faculty of Law and International Relations, Doctor of Politics, GTU

E-mail: jjeishviliketevan07@gtu.ge

E. Gvenetadze, Professor, Faculty of Law and International Relations, Doctor of History, GTU

E-mail: gvenetadzeedisher07@gtu.ge

Abstract. The International Security Conference held in Munich in February 2007 laid the foundation for the formation of the new world order. After the collapse of the Soviet Union and the end of the Cold War, everyone thought that Russia would choose the way for pro-Western democratic development. In the first stage, it seemed that the Russian Federation was making a choice in favor of the free world. However, the weakness of both the state and style of oligarchic governance showed that the conclusion was premature.

Although civil society was developing in Russia and after some time it could achieve concrete successes, the Russian political leadership under the leadership of Boris Yeltsin was unable to solve the acute problems facing the state. The strengthening of the Russian state is linked to the coming to power of Yeltsin's successor, Vladimir Putin. As a result of effective counterterrorism operations, the authority of Russian president has increased significantly.

Putin aimed to change pro-Western orientations to Eurasian. We think, it was a natural occurrence for Russia, but it would inevitably lead to a confrontation with the West. The 2007 Munich International Security Conference is a clear example, where the Russian president strongly criticized the existence of a unipolar world and initiated foundation of a new phase of confrontation with the Euro-Atlantic space.

Key words: agreement; conflict; democracy; ethnicity; sanction; sovereign; safety.

UDC 627.11:627.81

SCOPUS CODE 1901

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-114-126>

Мюнхенская конференция 2007 года и контуры нового мирового порядка

Карло Копалиани Департамент политики и международных отношений, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 77
E-mail: karlo.kopaliani@yahoo.com

Зураб Кветенадзе Департамент политики и международных отношений, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 77
E-mail: kvetenadzezurabi07@gtu.ge

Рецензенты:

К. Джиджеишвили, доктор политических наук, профессор факультета права и международных отношений, ГТУ

E-mail: jjeishviliketevan07@gtu.ge

Е. Гвенетадзе, доктор исторических наук, профессор факультета права и международных отношений, ГТУ

E-mail: gvenetadzeedisher07@gtu.ge

Аннотация. В феврале 2007 года конференция по международной безопасности в Мюнхене считается точкой отчета нового мирового порядка. После распада Советского Союза и окончания холодной войны казалось бы, что Россия будет развиваться в прозападном демократическом направлении. На первом этапе было очевидно, что Российская Федерация делает выбор в пользу свободного мира, однако, как выяснилось позже, слабость государства и стиль олигархического правления дали свои плоды, и в результате оказалось, что выводы были поспешными. Стоит отметить, что гражданское общество в России развивалось достаточно позитивно и могло со временем исправить ситуацию. Однако, российское политическое руководство во главе с Борисом Ельциным не смогло решить острые проблемы, стоящие перед государством.

Укрепление российского государства начинается с прихода к власти Владимира Путина, преемника Бориса Ельцина. В результате эффективных контртеррористических операций авторитет президента России, Владимира Путина значительно вырос. Целью Путина было изменение прозападных ориентаций на евразийские, что, для России было естественным явлением, которое и привело к конфронтации с Западом. Ярким примером этого является Мюнхенская конференция по безопасности 2007 года, где в своей речи президент России резко критикует существование однополярного мира, таким образом начав новый этап противостояния с евroatлантическим пространством.

Ключевые слова: безопасность; демократия; конфликт; соглашение; суверен; санкция; этническая принадлежность.

განხილვის თარიღი 15.03.2020

შემოსვლის თარიღი 22.03.2020

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.07.2021

UDC 615.327

SCOPUS CODE 1907

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-127-141>

მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროს გოგირდწყალბადიანი მინერალური წყლების ზოგადი დახასიათება

მარინე მარდაშოვა გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: m_mardashova@gtu.ge

თამარ მიქავა გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: t.miqava@gtu.ge

რეცენზენტები:

ნ. ფოფორაძე, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: n.poporadze@gtu.ge

ზ. კაკულია, სტუ-ის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

E-mail: z.kakulia@gtu.ge

ანოტაცია. საკვლევი ობიექტი შიგა კახეთის ძირითადი ჰიდროგრაფიული ერთეულის – მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობის წინამთიანეთის გასწვრივ და მოიცავს ზოლს სოფ. შაქრიანიდან (თელავის რაიონი) დაწყებული რაიონულ ცენტრ ლაგოდეხით დამთავრებული (მდ. ლაგოდეხისწყალი, მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადი). აღნიშნული ზოლის ფარგლებში, მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადების ხეობებში, აგრეთვე წინამთიანეთის მთისძირეთში გოგირდწყალბადიანი (H₂S) მინერალური წყაროების ბუნებრივი გამოსავლება გავრცელებული. გარდა ამი-

სა, ეს წყლები გახსნილია საძიებო - ჰიდროგეოლოგიური ჭაბურღილებით. ამ წყაროებს შორის განსაკუთრებით პოპულარულია „თორღვას აბანო“ და „ლაგოდეხის აბანო“. პირველი მდებარეობს მდ. ალაზნის მარცხენა შენაკად მდ. სტორის ხეობის ზემო წელში, ხოლო მეორე – მდ. ლაგოდეხისწყლის ხეობაში, დასახლებიდან 7კმ-ის დაშორებით. სამკურნალო თვისებებით არანაკლებ მნიშვნელოვანია შედარებით მცირედებიტიანი მინერალური წყაროები – „მუნის წყარო“ და „მყრალი წყლები“. თეორიული და ველზე მოპოვებული ფაქტობრივი მასალების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე მთიანი კახეთის გოგირდწყალბადიანი წყლები დახასია-

თებულია დეტალურად და შესაძლოა მათი ათვისება საკურორტო მშენებლობის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: გოგირდწყალბადი; ინფილტრაცია; მდ. ალაზანი; ღრმა ცირკულაციის მისივე წყლები; წყალშემცველი ჰორიზონტი.

შესავალი

გოგირდწყალბადი წყალს უსიამოვნო სუნს ანიჭებს, გოგირდოვან ბაქტერიებს ავითარებს და კოროზიას იწვევს. მიწისქვეშა წყლებში არსებული გოგირდწყალბადი შეიძლება იყოს მინერალური, ორგანული ან ბიოლოგიური წარმოშობის, გახსნილი აირის ან სულფიდების სახით. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია წყლის რეაქციაზე (PH):

1. როდესაც $PH < 5$ ზე, H_2S -ის ფორმით;
2. $PH > 7$, HS^- იონის სახით;
3. $PH = 5 - 7$, HS^- იონის სახით, აგრეთვე H_2S -ის სახით.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით [1], საკვლევი ტერიტორია მოიცავს მესტია – თიანეთის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან - კარსტული წყალშემცველი სისტემის სამხრეთ - აღმოსავლეთ ნაწილს და ნაწილობრივ ალაზნის არტეზიული აუზის ფოროვანი და ნაპრალოვან - კარსტული სისტემის ჩრდილოეთ პერიფერიას.

დაღმავალ ჰიდროგეოლოგიურ ჭრილში რაიონში გავრცელებული ძირითადი წყალშემცველი ჰორიზონტები და კომპლექსები შემდეგი თანამიმდევრობით ლაგდება:

1. თანამედროვე ალუვიონის წყალშემცველი ჰორიზონტი;

2. მეოთხეული ალუვიურ-პროლუვიური ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტი;

3. კიმერიჯ-ქვედა ცარცის კარბონატული ნალექების კარსტული წყალშემცველი ჰორიზონტი;

4. ზედა იურის (კალოვიურ-ოქსფორდული) ტერიგენული ფლიშური ნალექების წყალშემცველი კომპლექსი;

5. ტოარსული და აალენური სართულების ქვიშაქვა-ფიქლებრივი წყების წყალშემცველი კომპლექსები;

6. პლინსბახის სართულის ფიქლებრივი წყების წყალშემცველი ჰორიზონტი.

ქვემოთ მოცემულია აღნიშნული ჰორიზონტების მოკლე დახასიათება.

პლინსბახის სართულის ფიქლებრივი წყების გრუნტის წყლები ($J_1 P$) – ვიწრო ზოლის სახით ვრცელდება რაიონის მაღალმთიან ტერიტორიაზე, ლითოლოგიურად წარმოდგენილია მეტამორფიზებული ასპიდური თიხა-ფიქლებით და საშუალომარცვლოვანი ღია ფერის ქვიშაქვებით. გრუნტის წყლების ცირკულაცია გამოფიტვის ზონის ნაპრალებში ხდება, თუმცა ეს უკანასკნელი მცირე სიღრმეში ვრცელდება ისე, რომ ჰორიზონტის წყალშემცველობა დაბალია. წყაროების გამოსავლები ხშირია მდინარეთა ხეობების ფერდობებზე. დებიტი 0.03 – 0.1 ლ/წმ ფარგლებში მერყეობს [2]. ქიმიურად ისინი, ჰიდროკარბონატულ-კალციუმის შედგენილობის ულტრამტკნარი წყლებია, t იცვ-

ლება $9-11^{\circ}\text{C}$ ფარგლებში, საერთო მინერალიზაცია 0.15 გ/ლ არ აღემატება.

ტარსული და აალენური სართულების გრუნტის წყლები ($J_1^t + J_2^a$). აღნიშნული კომპლექსი ლითოლოგიურად წარმოდგენილია შავი თიხაფიქლების მონაცვლეობით სქელშრებრივ ნაცრისფერ ქვიშაქვებთან. აქ გამოფიტვის ზონის სიღრმე 30 მ-ს აღწევს. ქანების ნაპრალიანობა საკმაოდ მაღალია, რაც ხელს უწყობს ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციას. თიხაფიქლებთან დაკავშირებული წყაროების მაქსიმალური დებიტი 0.5 ლ/წმ არ აღემატება. შედარებით წყალუხვია ქვიშაქვები, რომლებშიც უხვდებიტიანი (3 ლ/წმ) წყაროებიც გვხვდება. ქიმიური შედგენილობით გაბატონებულია ჰიდროკარბონატული კალციუმიან-მაგნიუმიანი ტიპი, საერთო მინერალიზაცია $0.1-0.2$ გ/ლ ფარგლებშია. მინერალიზაციის ერთგვარი მატება აღნიშნება აალენის სართულთან დაკავშირებულ წყაროებში, ტემპერატურა $9 - 13.5^{\circ}\text{C}$ იცვლება.


ზედა იურის ტერიგენული ფლიშის გრუნტის წყლები (J_3^{k-o}). ტერიგენული ფლიში ლითოლოგიურად ზედა ლიასის ქვიშაქვა - ფიქლებრივი წყების მსგავსია, თუმცა წყალშემცველობის მხრივ განსახილველი ფლიში გაცილებით წყალუხვია. ამ კომპლექსთან დაკავშირებული წყაროების საშუალო ხარჯი $0.4-0.6$ ლ/წმ საზღვრებშია. გარდა ამისა, გვხვდება უფრო უხვდებიტიანი ($6-10$ ლ/წმ) წყაროებიც, რომელთა გამოსავლები წყების ზედა კარბონატულ ნაწილთან არის დაკავშირებული. ქიმიური შედგენილობით გაბატონებულია ჰიდროკარბონატული კალციუმიან-მაგნიუმიანი ტიპი, საერთო მინერალიზაცია $0.2-0.5$ გ/ლ. სამხრეთ-აღმოსავლეთით

მინერალიზაცია უმნიშვნელოდ, მაგრამ თანდათან მატულობს. აღნიშნული წყლების ქიმიურ ფორმულაში არცთუ იშვიათად სულფატ-იონი (SO_4^{2-}) იჩენს თავს, t იცვლება $11.5-15.5^{\circ}\text{C}$ ფარგლებში.

კიმერიჯ - ქვედა ცარცის (ვალანჟინი) კარსტული წყლები ($J_3^{(km)} - k_1^{(v)}$), ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესო წყალშემცველი ჰორიზონტია. მისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა მაღალი წყალშემცველობა, რითაც ეს ჰორიზონტი აშკარად გამოირჩევა დანარჩენი ჰიდროგეოლოგიური ერთეულებისგან. ლითოლოგიურად ჰორიზონტი აგებულია პელიტმორფული სქელშრებრივი, თითქმის მასიური მერგელოვანი კირქვებით, რომლებშიც თიხაფიქლების და ქვიშაქვების დასტები და შუაშრები გვხვდება. პელიტმორფული კირქვებისთვის ძალზე დამახასიათებელია კარსტული პროცესი, რომელიც გამოხატულია როგორც ზედაპირულ, ისე მიწისქვეშა კარსტულ ფორმებში. ზედაპირული ფორმები შედარებით ნაკლებად ჩანს მაშინ, როდესაც მიწისქვეშა კარსტული ნაპრალები და სიცარიელები ფართოდ არის განვითარებული. ნაპრალებს შორის სამი გენეტიკური სახე გამოიყოფა: ტექტონიკური, ლითოგენეტიკური და გამოფიტვის ნაპრალიანობა. კარბონატული ფლიშის მთლიან გავრცელებაზე უხვდებიტიანი კარსტული წყაროები გამოდის. ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ძირითადი კარსტული წყაროები შემდეგი თანამიმდევრობით ლაგდება: “კუს წყალი”, “ვატმასური”, “წიწკანანათსერი”, “ჩანთლის ყურე”, “ზინობიანი”, “აფენის წყალი”. მათ შორის განსაკუთრებით

წყალუხვია “აფენის წყალი”, რომლის დებიტი 252 ლ/წმ შეადგენს. იგი დასაბამს აძლევს ერთსახელა მდინარეს. სხვა კარსტული წყაროებიდან აღსანიშნავია ყვარლის ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე არსებული წყაროები: “ფატმასური” (დებიტი–188 ლ/წმ) და “ზინობიანი” (დებიტი – 72 ლ/წმ) [3].

რაიონის კარსტული წყლების კვებაში წამყვანი როლი ატმოსფერულ ნალექებს ეკუთვნის, ამასთან მნიშვნელოვანია ზედაპირული წყლებიც. ზედაპირული წყლების ხარჯზე კარსტული წყაროს კვების კლასიკური მაგალითია წყარო “ფატმასური”, რომელიც მდ. ჩაგურგულაძან ინფილტრირებული წყლების ხარჯზე იკვებება.



ზედაპირული წყლების როლი კარსტული წყაროების კვებაში

სქემიდან ჩანს, რომ მდინარის წყლების ინფილტრაცია ამაღლებულ ჩრდილოეთ ფერდობიდან ხდება, რომელიც მერგელოვანი კირქვებით არის აგებული. საკვლევი რაიონის კარსტი განვითარების პროცესშია, რასაც ხელს უწყობს თანამედროვე ტექტონიკური მოძრაობა. ქიმიური შედგენილობით კარსტული წყლები მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, გარდა იმისა, რომ ჰიდროკარბონატებთან ერთად გარკვეული რაოდენობით სულფატურ მარილებსაც შეიცავს. საერთო მინერალიზაციის მაჩვენებელი 0.2–0.4 გ/ლ ფარგლებშია, $t - 12-14^{\circ}C$, რეჟიმი არამდგრადია და მჭიდროდ არის დაკავშირებული წლის განმავლობაში ატმოსფერული ნალექების გამოყოფასთან.

მეთხეული ალუვიურ-პროლუვიური ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტი (Q_{al-pr}) ფართოდ არის გავრცელებული მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროზე. ამ წარმონაქმნებით აგებულია მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადების მძლავრი გამოტანის კონუსები და კონუსთმორისი სივრცეები. წყალშემცველია ქვიშის, ქვიშნარისა და ქვიშის-შემავსებლიანი კენჭნარების დასტები, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია შედარებით წყალგამტარი თიხებისა და თიხნარების შუაშრებით. გამოტანის კონუსების ფარგლებში წყალშემცველი ჰორიზონტები დაწნევიანია. აქ გავრცელებულია ე.წ. “ყვარლის წყალშემცველი ჰორიზონტი”, რომელიც იარუსის აგებულებისა და ერთმანეთთან მონაცვლე წყალშემცველი და წყალგამტარი ქანებით არის წარმოდგენილი. ყვარლის წყალშემცველი ჰორიზონტის წყლები ფართოდ გამოიყენება ალაზნის ველის მარცხენა სანაპიროზე მდებარე დასახლებული პუნქტების წყალმომარაგებაში. ქიმიურად ეს დაბალმინერალიზებული (0.3–0.5 გ/ლ), ჰიდროკარბონატულ-სულფატურკალციუმიან-მაგნიუმიანი წყლებია, $t - 12-14^{\circ}C$ და სრულად პასუხობს სასმელი წყლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

თანამედროვე ალუვიონის წყალშემცველი ჰორიზონტი (Q_{al}) ვრცელდება მდინარეთა ხეობების კალაპოტებსა და კალაპოტზედა ტერასებზე, რომლებიც ლითოლოგიურად ფხვიერი კაჭარკენჭნარით არის აგებული. კალაპოტქვეშა ნაკადი მდინარის

სტუ-ის შრომები – Works of GTU – Труды ГТУ
 №2 (520), 2021

დინების მიმართულებით არის დახრილი. მისი სიღრმე 0.5 – 3.0 მ-ს შეადგენს. ამ ჰორიზონტთან დაკავშირებული წყაროების გამოსავლები მრავლადაა მდინარეების – ბურსას, არემის, შოროხევის, ნი-ნოსხევის, ჩაგურგულასა და სხვათა ჭალებში.

ჰორიზონტის წყალშემცველობა მაღალია, წყაროთა დებიტები 1.8 – 6.2 ლ/წმ საზღვრებში მერყეობს. ქიმიური შედგენილობით გავრცელებულია ჰიდროკარბონატულ კალციუმ-მაგნიუმის ტიპი, საერთო მინერალიზაცია 0.1 – 0.2 გ/ლ.

ალაზანგაღმა მთიანი კახეთის მინერალური წყაროები. საკვლევი რაიონი მინერალური წყლების სიხშირით არ ხასიათდება. ამ ზოლში მხოლოდ შვიდი გამოსავალია დაფიქსირებული და მათ განლაგებაში გარკვეული კანონზომიერება აღინიშნება, კერძოდ მინერალური წყლების გავრცელების ზოლი თითქმის ყველა შემთხვევაში კიმერიჯული სართულის კარბონატული წყების კირქვებსა და მერგელებს უკავშირდება, რითაც კახეთის ფარგლებში კავკასიონის სამხრეთ ფერდობის მთისწინეთი არის აგებული. გამონაკლისია მინერალური წყაროები – „თორღვას აბანო“ და „ლაგოდების აბანო“, რომლებიც გენეტიკურად ქვედა იურის ტოარსული სართულის ქვიშაქვა - ფიქლებრივ წყებას უკავშირდება [4]. აღნიშნული მინერალური წყაროების ღრმა ცირკულაციაზე მათი სპეციფიკური აირული და ქიმიური შედგენილობა მიუთითებს, აგრეთვე საერთო მინერალიზაციის შედარებით მაღალი მაჩვენებელი და სტაბილური რეჟიმი, რომელიც კლიმატურ ფაქტორებზე არ არის დამოკიდებული. სავარაუდოა, რომ მინერალური წყლების გამოსავლები კონტროლდება ტექტონიკური რღვე-

ვის ხაზით, რომელიც სიღრმული წყლების მოძრაობის არხს უნდა წარმოადგენდეს. მიწისქვეშა წყლების აღმავალი მოძრაობის პროცესში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის ტექტონიკური წარმოშობის ვერტიკალურ ნაპრალებს, რომლებიც ნაოჭების გადაღუნვის ზოლშია განვითარებული. რღვევა მეოთხეული საფარით არის დაფარული და დედამიწის ზედაპირზე არ ფიქსირდება. გამოთქმული ვარაუდით დასტურდება ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ერთ-ერთი მინერალური წყაროს – „მუნის წყაროს“ გამოსავლის უბანზე.



„მუნის წყაროს“ ბუნებრივი გამოსავალი
ეგზოგენურ ნაპრალებში


აღნიშნული წყაროს გამოსავლიდან 50 მ-ის დაშორებით, სამხრეთით გაყვანილ იქნა ჭაბურღილი, რომლის საპროექტო სიღრმე 1200 მ-ს შეადგენდა. ჭაბურღილი მხოლოდ 51 მ სიღრმემდე გაიბურღა. აქედან 48 მ წარმოდგენილია ფხვიერი მეოთხეული კენჭნარით და მხოლოდ ქვედა სამი მეტრი – კირქვებით. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჭაბურღილის პირზე მიგველო მტკნარი წყლის თვითდენა მაღალი დებიტით (40 ლ/წმ), რის გამოც „მუნის წყაროს“ ბუნებრივმა გამოსავალმა ფუნქციონირება შეწყვიტა,

ჭაბურღილიდან ამომავალ წყალს კი გოგირდწყალბადის სუნის სდევს.



არტეზიული ჭაბურღილი მინერალურ წყარო „მუნის წყაროსთან“

ექვგარეშეა, რომ ჭაბურღილმა სიღრმეში გადაკვეთა ერთგვარად განცალკევებული ნაპრალი ან სისტემა, რომლის გავლითაც აღნიშნული მინერალური წყალი, ჰიდროსტატიკური დაწნევის გავლენით, მიწის ზედაპირზე ამოდიოდა. ჭაბურღილის ლულა იქცა იმ ჭურჭლად, რომელშიც მინერალური წყალი შეერია მტკნარი წყლის ჰორიზონტს და მასში მინერალიზაციის კლებასთან ერთად გოგირდწყალბადის შემცველობაც შემცირდა.



„მუნის წყაროს“ გამოსავლის მიტაცება ჭაბურღილით

რაიონის მინერალური წყაროები ჩრდილო - დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ შემდეგი თანამიმდევრობით არის განლაგებული:

მინერალური წყარო „მუნის წყალი“. სახელწოდება ნათლად მიუთითებს პრაქტიკული გამოყენებისას ამ წყლის დანიშნულებაზე. წყარო განლაგებულია სოფელ შაქრიანიდან 3 კმ მანძილზე აღმოსავლეთით და გრძივი ქედის ძირას სივრცობრივად დაკავშირებულია კარბონატული ფლიშის კირქვებსა და კარბონატულ ქვიშაქვებთან. წყალი გამოედინება დაახლოებით 10 სმ სიგანის ნაპრალებიდან, რომლებითაც დასერილია ქანები სხვადასხვა მიმართულებით.



მინერალური წყაროს სივრცობრივი კავშირი ეგზოგენურ ნაპრალიანობასთან

თვალთახედვითი შეფასებით წყაროს დებიტი 6 ლ/წმ შეადგენს. წყალი გამჭვირვალეა, მოცისფრო შეფერილობის, გოგირდწყალბადის მკვეთრი სუნით, ტემპერატურა – 16 °C .

მინერალური წყარო „მლაშე წყარო“ – მდებარეობს სოფელ წიწკანაანთსერიდან 2 კმ მანძილზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით. გამოსავალი დაკავშირებულია დაბალ ირიბგორას ძირთან, რომელიც აგებულია თხელშრეებრივი გამოფიტული მერგელე-


ბით და მერგელოვანი ფიქლებით. წყაროს ორი გამოსავალი შეინიშნება, ჯამური დებიტი 1 ლ/წმ.



„მლაშე წყაროს“ პრიმიტიულად დაკაპტაჟებული ბუნებრივი გამოსავალი

წყალი გამჭვირვალეა მომლაშო გემოთი, უფერო და უსუნო, ტემპერატურა – 16 °C. მარილთან ერთად უმნიშვნელო რაოდენობით მეთანი გამოიყოფა.

მინერალური წყარო „ზედა წყარო“ – მდებარეობს სამების ქედის ჩრდილოეთ ამაღლებულ ფერდობზე. ჰიფსომეტრიულად, დაახლოებით 300 მეტრით მაღლა „მლაშე წყაროსთან“ შედარებით. წყაროს გამოსავალი ახლოსაა ყვარლის ხელოვნურ წყალსაცავთან, თანაც გამოსავლის ნიშნული დაახლოებით 20 მ-ით დაბლაა წყალსაცავში წყლის დონესთან შედარებით.



მინერალური წყაროების განმხოლოება ზედაპირული წყლებიდან

გამოსავალი დაკავშირებულია მოცივითალო დელუვიურ თიხნარებთან, რომლებითაც გადაფარულია ძირითადი განლაგების კირქვები და ქვიშაქვები. წყაროს დებიტი ვიზუალური შეფასებით 0.2 ლ/წმ შეადგენს. წყალი მტკნარია, უსიამოვნო ლაყე კვერცხის სუნით და ხასიათდება გოგირდწყალბადის მძაფრი სუნით, ტემპერატურა – 15.5 °C.

მინერალური წყარო „მყრალი წყლები“. ეს წყალი ამ ტერიტორიაზე გაყვანილ ღრმა (1200 მ) ჰიდროგეოლოგიური ჭაბურღილიდან მიღებულ წყალთან ერთად ქმნის ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტის ჰიდრომინერალურ ბაზას. წყაროს გამოსავალი მდებარეობს სოფელ ოქტომბრიდან ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ-ზე, გამოსავალი დაკაპტაჟებულია 1 მ დიამეტრისა და 2 მ სიღრმის ბეტონის ავზით. თუ საბაზანო მწარმოებლობით ვიმსჯელებთ, წყაროს დებიტი 0.5 ლ/წმ უნდა უდრიდეს. გამოსავალი დაკავშირებულია კირქვებისა და კარბონატული ქვიშაქვების დანაპრალიანებულ ზონასთან.



ბეტონის ჭით დაკაპტაჟებული ბუნებრივი გამოსავალი



არტეზიული კაბურღილი „მყრალი წყლების“
მინერალურ წყაროსთან


წყალი მტკნარია, ბლანტი, ჯამში მოცისფრო ფერისაა, ახასიათებს გოგირდწყალბადის მძაფრი სუნი, ტემპერატურა – 16°C .

მინერალური წყარო „თხილის წყარო“ – მდებარეობს სოფ. თხილიანის ჩრდილო - დასავლეთ პერიფერიაზე, დაკავშირებულია თიხნარებთან, მოშორებით თეთრი ფერის კირქვების გამიშვლებათა, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა კირის გამოსაწვავად იყენებს. წყაროს დებიტი 2 ლ/წმ ტოლია, შეინიშნება საწვავი აირის იშვიათი გამოყოფა პატარა ბუშტუკების სახით, წყალი მტკნარია, გამჭვირვალე, ახასიათებს გოგირდწყალბადის სუსტი სუნი, ტემპერატურა – 15°C .

მინერალური წყარო „ახალსოფელი“ – დაკავშირებულია დაბალი ქედის ძირში გამიშვლებულ წვრილმარცვლოვან მკვრივანაპრალოვან კირქვებთან. გამოდინების ადგილას ნაპრალების გახსნა 10 სმ-ს აღწევს. გამოსავლების ჯგუფი აღინიშნება საერთო დებიტით 2.5 ლ/წმ, წყალი მტკნარია, უფერული, გოგირდწყალბადის სუსტი სუნით, ტემპერატურა – 15°C .

მინერალური წყარო „ლაგოდების აბანო“ - ერთადერთია ზემოთ აღწერილ წყლებს შორის, რომლის

გამოსავალი ზედა იურა-ქვედა ცარცის კარბონატულ წყებასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ ქვედა იურის ტოარსული სართულის ქვიშაქვაფიქლებრივ წყებასთან ანუ ასაკობრივად ბევრად უფრო ძველ ქანებთან [5]. გამოსავალი მდებარეობს ლაგოდებიდან ჩრდილოეთით 7 კმ მანძილზე, მდ. ლაგოდებისწყლის ზემო წელში, მარჯვენა ფერდობის ზედა ნაწილში, კალაპოტიდან 60 მ სიმაღლეზე.




მინერალური წყაროს „ლაგოდების
აბანოს“ გამოსავალი

გამოსავალი დაკავშირებულია კაჟიან-ნაპრალოვან გამოფიტულ ქვიშაქვებთან და თვალნათლივ არის მიზმული რეგიონალური ტექტონიკური რღვევის (შეცოცების) ზონასთან, რომლის გასწვრივაც პლინსბახის ფიქლებრივი წყება ტექტონიკურ კონტაქტშია ზედა ლიასის ქვიშაქვა - ფიქლებრივ წყებასთან. გამოსავლები რამდენიმეა ნაპრალების გასწვრივ. მთავარი გამოსავალი, რომლის დებიტი 0.8 ლ/წმ-ის ტოლია, პრიმიტიულად არის დაკავშირებული და აბაზანებისთვის გამოიყენება. ჯამური დებიტი დაახლოებით 1.3 ლ/წმ, ტემპერატურა – 23°C , უფრო მაღალი, ვიდრე რაიონის სხვა მინერა-

ლური წყაროების შემთხვევაში. ჰაერი გაჟღენთილია გოგირდწყალბადის სუნით, წყალი უსიამოვნო გემოსია, მოცისფრო ფერია.

მინერალური წყარო „თორღვას აბანო“ - „ლაგოდების აბანოს“ მსგავსად, „თორღვას აბანოს“ მინერალური წყაროს გამოსავალი ასევე არ არის დაკავშირებული ზედა იურა-ქვედა ცარცის კარბონატულ ფლიშთან, არამედ დაკავშირებულია ლიასის ინტენსიურად დისლოცირებული ფიქლებრივი წყების გავრცელების ზონასთან და აღინიშნება მსხვილი რეგიონული რღვევით.

წყარო თუშეთში მდებარეობს, მდ. სტორის (მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადი) ხეობის ზემო წელში, სოფ. ფშაველიდან დაახლოებით 30 კმ მანძილზე. „თორღვას აბანო“ დიდი პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივ მოსახლეობაში და მიუხედავად იმისა, რომ ძნელად მისადგომია, ზაფხულობით მას მრავალრიცხოვანი დამსვენებელი ჰყავს. ხანგრძლივი სამედიცინო დაკვირვებით დადგენილია, რომ მას შესანიშნავი სამკურნალო თვისებები ახასიათებს [6]. გამოსავლები რამდენიმეა, ერთმანეთისადმი საფეხურებად განლაგებული.



ლიასის ინტენსიურად დისლოცირებული ქანები „თორღვას აბანოს“ ბუნებრივ გამოსავალთან

„თორღვას აბანოს“ ბუნებრივი და პრიმიტიულად დაკაპტაჟებული გამოსავლები

ყველა გამოსავლის ჯამური დებიტი 600 მ³დღ./დ. ტოლია. წყლის ტემპერატურა (36,5 °C) ახლოსაა ადამიანის სხეულის ტემპერატურასთან, რაც წყალს განსაკუთრებით ფასეულს ხდის, ასევე სტაბილურია წყაროს ჰიდროდინამიკური და ჰიდროქიმიური რეჟიმი. თავისუფალი გოგირდწყალბადის შემცველობა (H₂S) 5–7 მგ/ლ ფარგლებშია. ქიმიური შედგენილობით „თორღვას აბანოს“ წყალი გოგირდწყალბადიან ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმთან ტიპს მიეკუთვნება. სავლელ პერიოდში შესაძლებლობა მოგვეცა, მთიანი კახეთის სხვა მინერალური წყაროების პარალელურად, დაგვესინჯა

„თორღვას აბანო“, რომლის ქიმიური ანალიზის შედეგი სხვა წყაროების ანალიზების შედეგებთან ერთად მოცემულია მე-3 ცხრილში.

რაიონის მიწისქვეშა წყლების აირული შედგენილობა

აირების გამოვლინება რაიონის თითქმის ყველა შესწავლილ მიწისქვეშა წყალში (მათ შორის მინერალურ წყაროებში) შეინიშნება. აირების მშრალი გამოსავლები საკვლევ ტერიტორიაზე არ გვხვდება. სპონტანურ ფაზაში სხვადასხვა აირის შემცველობის შესახებ წარმოდგენას ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვაძლევს.

ცხრილი 1

მთიანი კახეთის მიწისქვეშა წყლების აირული შედგენილობა

წყალ-პუნქტის ტიპი	ადგილმდებარეობა	აირების შემცველობის მოცულობითი %				
		CH ₄	N ₂	CO ₂	O ₂	H ₂
1	2	3	4	5	6	7
ჭაბურღილი	მდ. ჩელთის ხეობა	52.41	45.96	1.38	0.25	-
ჭაბურღილი	სოფ. წიწკანანთსერის განაპირას	43.25	55.37	1.38	-	-
მინერალური წყარო „მლაშე“	სოფ. წიწკანანთსერის პერიფერიაზე	61.20	36.98	1.82	-	-
მინერალური წყარო „მყრალი წყლები“	ყვარელსა და ლაგოდეხს შორის	72.90	24.90	2.20	-	-
ჭაბურღილი	„მყრალი წყლებიდან“ 300 მ დაშორებით	55.17	44.15	0.29	0.39	-
მინერალური წყარო	სოფ. თხილიანის პერიფერიაზე	48.52	49.06	1.14	0.28	-

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ რაიონის მიწისქვეშა წყლების სპონტანური აირების შედგენილობაში ნახშირორჟანგი (CO₂) პრაქტიკულად არ

გვხვდება. მისი არარსებობა უნდა აიხსნას საკვლევ ტერიტორიის მნიშვნელოვანი დაშორებით ახალგაზრდა ვულკანური გამოვლინების კერებიდან,

რომლებიც დიდი კავკასიონის ნაოჭა სისტემის ცენტრალური ნაწილისთვის არის დამახასიათებელი. ნახშირორჟანგის აღმავალი ჭავლები აქამდე ვერ აღწევს და, ამიტომ, მიწისქვეშა წყლების აირულ შედგენილობაში ბიოქიმიური წარმოშობის აირები ჭარბობს, ძირითადად მეთანი (CH_4).

აირების გამოყოფა პერიოდულად ხდება სუსტი აღმავალი ჭავლების სახით. უნდა აღინიშნოს, რომ სპონტანური აირების შემცველი რაიონის ყველა მინერალური წყარო გოგირდწყალბადიანია. როგორც ცნობილია, H_2S წყალში კარგად იხსნება (რამდენიმე ასეული მგ/ლ), რის გამოც მიწისქვეშა წყალი შესაფერის პირობებში გაჯერებულია აღნიშნული აირით. გოგირდწყალბადის პარციალური დრეკალობიდან გამომდინარე, მისი გარკვეული ნაწილი თავისუფალ ფაზაში გადადის და გამოიყოფა, რის გამოც მინერალური წყაროების განტვირთვის უბნებზე, ხშირ შემთხვევაში, გოგირდწყალბადის მკვეთრი სუნი შეინიშნება.

განვიხილოთ მთიანი კახეთის მიწისქვეშა წყლებში ზოგიერთი აირის დაგროვების და განაწილების ზოგადი კანონზომიერება.

მეთანი (CH_4). მოცემულ შემთხვევაში მეთანის ბიოქიმიური წარმოშობა ეჭვგარეშეა. სიღრმეში მისი წარმოქმნისთვის სათანადო პირობები არსებობს. იგულისხმება საკვლევ რაიონში ნორმალურად დანალექი ქანების (თიხაფიქლები, ასპიდური ფიქლები, მერგელოვანი ფიქლები) კომპლექსის ფართო გავრცელება. ეს ქანები ორგანული ნივთიერებებით არის გამდიდრებული, რასაც ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემები ადასტურებს.

ცხრილი 2

**ორგანული ნივთიერებების შემცველობა
 თიხაფიქლებში**

#	ნიმუშის დასახელება	გეოლოგიური ასაკი	ორგანულის შემცველობა %-ში
1	2	3	4
1	თიხაფიქალი	J_1^3	1.11
2	თიხაფიქალი	J_1^3	1.53
3	თიხაფიქალი	J_1^3	1.53
4	თიხაფიქალი	J_1^3	2.28
5	თიხაფიქალი	J_1^3	1.59
6	თიხაფიქალი	J_1^3	1.53

შესწავლილი რაიონის მეთანის შემცველი მიწისქვეშა წყლები ქიმიური შედგენილობით წარმოდგენილია ქლორიდულ-ნატრიუმისა და ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმის ტიპებით ანუ გამწვანებული ცირკულაციის მიწისქვეშა წყლებით, სადაც მეთანის დაგროვებისა და შენახვის სათანადო პირობებია [7].

აზოტი (N_2). მეთანთან ერთად განსახილველი რაიონის მიწისქვეშა წყლების აირულ შედგენილობაში აზოტიც წამყვან როლს ასრულებს. ის სავარაუდოდ ატმოსფერული წარმოშობის უნდა იყოს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს რაიონის ამგები ქანების ღრმა და ინტენსიური ტექტონიკური ნაპრალიანობა. ამ ნაპრალებში ინფილტრირებულ წყლებს სიღრმეში ჩააქვს ატმოსფერული აზოტი. გარდა აღნიშნულისა, აზოტის გარკვეული რაოდენობა რაიონის მინერალურ წყლებში შეიძლება დაგროვდეს მათში ატმოგენური აზოტის შემცველი მტკნარი, არაღრმა ცირკულაციის წყლების შერევით.

ცხრილი 3

წყლის სინჯების კიბეური ანალიზის შედეგები

NN	ადგილმდებარეობა	წყალ-ბუნების ტიპი	იონების შემცველობა, მგ/ლ								pH	NH ₄	NO ₃	NO ₂	კუროლოვის ფორმულა	შენიშვნა
			(Na+K)	Ca	Mg	Cl	SO ₄	HCO ₃	CO ₃							
1	„თორღვას აბანი“, სააბაზანოს შენობა	წყარო	197	5	1	84	14	256	60	8.4	-	-	-	$M_{0.02} \frac{HCO_3 47Cl 27CO_3 23}{(Na+K)97}$		
2	„თორღვას აბანოსთან“ მტკნარი წყალი	წყარო	56	31	3	18	36	183	-	7.6	-	-	-	$M_{0.33} \frac{HCO_3 71SO_4 18Cl 12}{(Na+K)58Ca36}$		
3	„თორღვას აბანი“, გამოსავალი	წყარო	176	6	1	71	10	207	72	8.3	-	-	-	$M_{0.54} \frac{HCO_3 42CO_3 30Cl 25}{(Na+K)96}$		
4	„თორღვას აბანოსთან“ მეორე მტკნარი წყალი	წყარო	44	27	6	18	23	171	-	7.4	-	-	-	$M_{0.29} \frac{HCO_3 74SO_4 13Cl 13}{(Na+K)51Ca36Mg13}$		
5	სოფ. შუქიანიდან აღმოსავლეთით 2 კმ დაშორებით	კარსტული წყარო	69	65	21	29	56	366	-	6.9	-	-	-	$M_{0.01} \frac{HCO_3 75SO_4 15Cl 10}{Ca41(Na+K)37Mg22}$		
6	მდ. დურუჯის ხეობა, მიწერალური წყარო „ვეფსი“	მიწერალური წყარო	1828	32	17	1335	82	2635	-	7.2	0.02	7.8	-	$M_{5.93} \frac{HCO_3 52Cl 146}{(Na+K)96}$		
7	სოფ. შუქიანის მიდამოებში „აკუს წყარო“	კარსტული წყარო	65	54	13	11	91	268	-	7.1	-	-	-	$M_{0.30} \frac{HCO_3 67SO_4 29}{(Na+K)43Ca41Mg16}$		
8	სოფ. შუქიანის მიდამოებში	კარსტული წყარო	69	40	11	13	75	244	-	7.3	-	-	-	$M_{0.45} \frac{HCO_3 68SO_4 26}{(Na+K)51Ca34Mg15}$		
9	სოფ. წიქვანანთ-სერის მიდამოებში „მლაშე წყალი“	მიწერალური წყარო	771	28	13	934	63	512	-	7.3	0.31	-	-	$M_{2.32} \frac{Cl 73HCO_3 23}{(Na+K)93}$		
10	ყვარლის რაიონი, სოფ. ზინობიანთან „მერალი წყლები“	გოგორდ-წყალბა-დიანი მიწერალური წყარო	196	54	25	128	61	512	-	7.0	-	-	-	$M_{0.08} \frac{HCO_3 63Cl 27}{(Na+K)64Ca20Mg15}$		
11	ყვარლის რაიონი, სოფ. ზინობიანი	კარსტული წყარო	62	66	22	19	101	317	-	6.8	-	-	-	$M_{0.59} \frac{HCO_3 66Cl 27}{Ca42(Na+K)34Mg24}$		

გოგირდწყალბადი (H_2S) რაიონის მინერალური წყლების აირული ფაზის აუცილებელი კომპონენტია.

ექსპერიმენტულ ნაწილად მიჩნეული უნდა იქნეს ჩვენ მიერ სავსე პერიოდში დასინჯული მინერალური წყაროების ბუნებრივი გამოსავლებიდან და ჭაბურღილებიდან აღებული სინჯების ქიმიური ანალიზების შედეგები. ანალიზები შესრულდა ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულების ჰიდროგეოქიმიურ ლაბორატორიაში. ანალიზის შედეგები ცალკეულ წყალ-პუნქტებთან მიმართებაში მოცემულია მე-3 ცხრილში.

დასკვნა

ალაზანგალმა მთიანი კახეთის გოგირდწყალბადიანი მინერალური წყაროების ბუნებრივი გამოსავლები, როგორც წესი, საერთო კავკასიური მიმართულების რეგიონულ რღვევებთან არის დაკავშირებული. ეს ერთნაირად ეხება როგორც კარბონატული ფლიშის ($J_3km - k_1(v)$) გავრცელების ზოლს, ისე ქვედა იურის (ლიასი) ფიქლებრივ წყებასთან დაკავშირებულ გოგირდწყალბადიან მინერალურ წყაროებს – „თორღვას აბანოს“ და „ლაგოდების

აბანოს“. ამასთან, ბუნებრივი გამოსავლები ლოკალიზებულია ისეთ უბნებზე, სადაც რეგიონული რღვევები გადაკვეთილია შედარებით მცირე ამპლიტუდის განივი რღვევებით. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს ის გარემოება, რომ სოფ. შაქრიანიდან დაწყებული მდ. მაწიმისწყლით დამთავრებული ზედა იურა - ქვედა ცარცის კარბონატულ ფლიშთან დაკავშირებული მინერალური წყაროების გამოსავლები ერთმანეთისგან გარკვეული მანძილით არის დაშორებული და ისინი სამების ქედის გამკვეთ მდინარეთა ხეობებს არ უკავშირდება. მაშასადამე, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ტექტონიკური კვანძებია, რომელთა ფარგლებში ხელსაყრელი პირობები იქმნება სიღრმული წყლების აღმავალი მიგრაციისთვის.

სავარაუდოა, რომ საკვლევი მინერალური წყაროების ჰიდროგეოლოგიური შესწავლით მოპოვებული მასალა, გარდა ერთგვარი თეორიული სიახლისა, პრაქტიკული ღირებულებისაა, რამდენადაც ხელს შეუწყობს ამ ძვირფასი სამკურნალო ნედლეულის დამატებითი რესურსების მოპოვებას და საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში სამკურნალო - საკურორტო ფართო ქსელის შექმნას.

ლიტერატურა

1. Hydrogeology of the USSR, vol. X, Georgian SSR, ch. ed. Buachidze I.M., ed. "Nedra", Moscow, 1970.
2. Geology of the USSR, vol. X, Georgian SSR, ch. editor Gamkrelidze P.D., ed. "Nedra", Moscow, 1964.
3. Vladimirov L.A. Flow patterns in the river basin Alazani. Institute of Geography Vakhushti, Tbilisi, 1955.
4. Rengarten V.P. Mineral springs of the Georgian Military Highway, Tbilisi, 1932.
5. Aliev M.M. Geological outline of the region of the southern slope of the Main Caucasian ridge of the Lagodekhi-Akhalsopeli region. GSU funds, Tbilisi, 1936.
6. Kharashvili G.I. Mineralogy of the Transcaucasian ore belt (Ph.D. thesis) library GPI, Tbilisi, 1948.
7. Astakhov N.E., Maruashvili L.I., Changashvili G.Z. Alazano - Agrichay intermountain valley in the Eastern Transcaucasia as a modern continental geosyncline. Ed. USSR Academy of Sciences, ser. Geological No. 2, 1956.

UDC 615.327

SCOPUS CODE 1907

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-127-141>

General Description of Hydrogen Sulfide Mineral Waters on the Left Bank of the Alazani River

Marine Mardashova Department of Applied Geology, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi,
75 M. Kostava str

E-mail: m_mardashova@gtu.ge

Tamar Miqava Department of Applied Geology, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi,
75 M. Kostava str

E-mail: t.miqava@gtu.ge

Reviewers:

N.Poporadze, Professor, Faculty of Mining and Geology, GTU

E-mail: n.poporadze@gtu.ge

Z. Kakulia, Professor, Director of the Institute of Hydrogeology and Engineering Geology, GTU

E-mail: z.kakulia@gtu.ge

Abstract. The study object is located in the main hydrographic unit of Shida Kartli - on the left bank of Alazani river, along the southern slope of the Greater Caucasus and includes a strip starting from the village of Shakriani (Telavi district), ending with the regional center Lagodekhi (Lagodekhi gorge, left tributary of the Alazani river). Within this zone, hydrogen sulfide (H₂S) mineral springs are prevalent. Besides, these waters are opened by exploratory - hydrogeological wells. Among these springs, "Torghva Bath" and "Lagodekhi Bath" are especially popular among the local population. The first of these is located in the upper reaches of the Story Valley, and the second - in Lagodekhi gorge, 7 km away from the settlement. The mineral springs "Muni Tsakaro" and "Mkrali Waters" are also important for their healing properties. Based on the analysis of theoretical and field materials, Kartli hydrogen sulfide waters are characterized in detail and possibly their use for resort purposes.

